დოკუმენტის ქართული ვერსია მხოლოდ ტენდერის მონაწილეთათვის დამხმარე დოკუმენტად არის შექმნილი. შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ინგლისურ ვერსიას.

თავი 7. კონტრაქტის ზოგადი პირობები

სარჩევი

ა. ზოგადი 7-4

1. განსაზღვრებები........ 7-7
2. ინტერპრეტაცია 7-7
3. ენა და კანონმდებლობა 7-9
4. საკონტრაქტო შეთანხმება 7-9
5. დავალება 7-9
6. დოკუმენტების განკარგვა და წარმოდგენა 7-10
7. კონფიდენციალური ინფორმაცია 7-11
8. კანონებთან შესაბამისობა 7-11
9. პასუსიხმგებლობა ერთად და ცალ-ცალკე 7-13
10. პროექტის მენეჯერის გადაწყვეტილებები 7-13
11. დელეგირება 7-13
12. კომუნიკაცია 7-13
13. ქვეკონტრაქტორები 7-13
14. სხვა კონტრაქტორები 7-14
15. პერსონალი და აღჭურვილობა 7-15
16. დამკვეთის და კონტრაქტორის რისკები 7-15
17. დამკვეთის რისკები 7-15
18. კონტრაქტორის რისკები 7-15
19. დაზღვევა 7-16
20. ობიექტის კვლევის ანგარიშები 7-17
21. სამუშაოების კონსტრუირება კონტრაქტორის მიერ 7-18
22. ობიექტის დასრულება დაგეგმილი თარიღისთვის 7-18
23. კონტრაქტორის ნახაზები და პროექტის მენეჯერის თანხმობა 7-18
24. უსაფრთხოება 7-19
25. აღმოჩენები 7-19
26. ობიექტის ტერიტორიის გადაცემა 7-19
27. ობიექტის ტერიტორიაზე შესვლა 7-19
28. მითითებები, ინსპექტირება და აუდიტი 7-20
29. მომრიგებლის დანიშვნა 7-20
30. დავების გადაწყვეტის პროცედურა 7-21

ბ. პერსონალი და მუშახელი 7-22

31. იძულებითი შრომა 7-22
32. ბავშვთა შრომა 7-22
33. მშრომელთა ორგანიზაციები 7-22
34. დისკრიმინაციის არარსებობა და თანაბარი შესაძლებლობები 7-23

გ. ვადების კონტროლი 7-23

35. პროგრამა 7-23
36. ობიექტის დასრულების დაგეგმილი ვადის გაგრძელება 7-25
37. დაჩქარება 7-25
38. პროექტის მენეჯერის ბრძანებით გამოწვეული დაყოვნებები 7-25
39. ადმინისტრაციული თათბირები 7-26
40. დროული გაფრთხილება 7-26

დ. ხარისხის კონტროლი 7-26

41. დეფექტების გამოვლენა 7-26
42. გამოცდა 7-27
43. დეფექტების გასწორება 7-27
44. გამოუსწორებელი დეფექტები 7-27

ე . ხარჯების კონტროლი 7-27

45. კონტრაქტის ფასი 7-27
46. კონტრატის ფასის ცვლილებები 7-28
47. ვარიაციები (ცვლილებები) 7-28
48. ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზი 7-30
49. გადახდის სერტიფიკატები 7-30
50. გადახდები 7-30
51. საკომპენსაციო გარემოებები 7-31
52. გადასახადები 7-33
53. ვალუტები 7-33
54. ფასის კორექტირება 7-33
55. დაკავება 7-34
56. ლიკვიდირებული ზიანი 7-35
57. ბონუსი 7-35
58. საავანსო გადახდა 7-35
59. გარანტიები 7-36
60. დღიური სამუშაოები 7-37
61. გასწორების ხარჯები 7-37

ვ . ფორს მაჟორი 7-37

62. ფორს მაჟორის განსაზღვრება 7-37
63. შეტყობინება ფორს მაჟორის შესახებ 7-38
64. დაყოვნების მინიმუმამდე შემცირების ვალდებულება 7-39

65. ფორს მაჟორის შედეგები 7-39
66. ფორს მაჟორის ზემოქმედება ქვეკონტრაქტორზე 7-40
67. პირობითი (არასავალდებულო) შეწყვეტა, გადახდა და გათავისუფლება 7-40
68. შესრულებისგან გათავისუფლება....7-42

ზ. კონტრაქტის დამთავრება 7-42

69. ობიექტის დასრულება....7-42
70. ობიექტის ჩაბარება 7-43
71. საბოლოო ანგარიშსწორება 7-43
72. ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის სახელმძღვანელოები 7-43
73. კონტრაქტის შეწყვეტა 7-43
74. თაღლითობა და კორუფცია....7-44
75. გადახდა კონტრაქტის შეწყვეტისას 7-49
76. საკუთრება 7-50
77. კონტრაქტის შესრულების პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება....7-50
78. აზიის განვითარების ბანკის სესხის, ან კრედიტის შეჩერება....7-50
79. უფლებამოსილება....7-50

ა. ზოგადი ნაწილი

1.განსაზღვრებები განმარტებული ტერმინები მუქი შრიფტით არის გამოყოფილი.

(ა) **კონტრაქტის მიღებული თანხა** წარმოადგენს იმ თანხას, რომელიც "მიღების წერილის" საშუალებით იქნა მიღებული სამუშაოების განხორციელებისა და დასრულების და ნებისმიერი დეფექტების გასწორებისათვის.

(ბ) **საქმიანობის გრაფიკი წარმოადგენს** სამუშაოების მშენებლობის, მონტაჟის, გამოცდის და ექსპლუატაციაში შეყვანის გრაფიკს ფიქსირებულ ფასიან კონტრაქტში. მასში შედის თითოეული საქმიანობის პაუშალური ფასი, რომელიც გამოიყენება შეფასებისათვის და შესწორებებისა და საკომპენსაციო გარემოებების ზეგავლენის შესაფასებლად.

(გ) **მომრიგებელი** არის პიროვნება, რომელიც ერთობლივად იქნა დანიშნული დამკვეთისა და კონტრაქტორის მიერ პირველ ინსტანციაში დავის გადასაწყვეტად წინამდებარე `კონტრაქტის ზოგადი პირობების 23 პარაგრაფის შესაბამისად.

(დ) **ბანკი** ნიშნავს დამფინანსებელ ინსტიტუტს რომელიც მითითებულია "კონტრაქტის კონკრეტული პირობებ"-ში.

(ე) **სამუშაოთა მოცულობების უწყისი** ნიშნავს განფასებულ და შევსებულ სამუშაოთა მოცულობების უწყისს, რომელიც წარმოადგენს სატენდერო წინადადების შემადგენელ ნაწილს.

(ვ) **საკომპენსაციო გარემოებები** ნიშნავს წინამდებარე `კონტრაქტის ზოგადი პირობების" პარაგრაფში 42 განსაზღვრულ გარემოებებს.

(ზ) **დასრულების თარიღი** ნიშნავს სამუშაოთა დასრულების თარიღს, რომელიც დამტკიცებულია პროექტის მენეჯერის მიერ `კონტრაქტის ზოგადი პირობების" ქვე-პარაგრაფის 55.1 შესაბამისად.

(თ) **კონტრაქტი** წარმოადგენს დამკვეთსა და კონტრაქტორს შორის სამუშაოების განხორციელების, დასრულებისა და უზრუნველყოფის თაობაზე გაფორმებულ კონტრაქტს. ის

შედგება `კონტრაქტის ზოგადი პირობების" 2.3 ქვე-პარაგრაფში ჩამოთვლილი დოკუმენტებისაგან.

(ი) **კონტრაქტორი** ნიშნავს მხარეს, რომლის სატენდერო წინადადება სამუშაოთა განხორციელების თაობაზე მიღებული იქნა დამკვეთის მიერ.

(კ) **კონტრაქტორის სატენდერო წინადადება** ეწოდება შევსებულ სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც კონტრაქტორმა წარუდგინა დამკვეთს.

(ლ) **კონტრაქტის ფასი** წარმოადგენს კონტრაქტის მიღებულ თანხას, რომელიც აღნიშნულია `მიღების წერილში', კონტრაქტის პირობების შესაბამისად განხორციელებული შემდგომი კორექტირების ჩათვლით.

(მ) **დღეები** ეწოდება კალენდარულ დღეებს და თვეები – კალენდარულ თვეებს.

(ნ) **დღიური სამუშაოები** წარმოადგენს სამუშაოთა სხვადასხვა მოცულობებს, რომელთა ანაზღაურებაც მოხდება კონტრაქტორის მიერ მუშაკებისა და აღჭურვილობის გამოყენების დროის მონაკვეთის საფუძველზე, შესაბამისი მასალებისა და დანადგარებისათვის გადახდებთან ერთად.

(ო) **დეფექტი** წარმოადგენს სამუშაოთა ნებისმიერ ნაწილს, რომელიც არ არის დასრულებული კონტრაქტის შესაბამისად.

(პ) **დეფექტებზე პასუხისმგებლობის სერთიფიკატი** წარმოადგენს კონტრაქტორის მიერ დეფექტების გასწორების შემდეგ პროექტის მენეჯერის მიერ გაცემულ სერთიფიკატს.

(ჟ) **დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი** წარმოადგენს `კონტრაქტის კონკრეტული პირობების' ქვე-პარაგრაფში 36.1 მითითებულ პერიოდს, რომელიც იანგარიშება დასრულების თარიღიდან.

(რ) **ნახაზები** ნიშნავს სამუშაოთა ნახაზებს, რომელიც თანდართულია კონტრაქტზე, და ყველა დამატებით და შეცვლილ ნახაზებს, რომელიც გაცემულია დამკვეთის (ან დამკვეთის სახელით), კონტრაქტის შესაბამისად. რაც მათ შორის, მოიცავს გაანგარიშებებსა და სხვა ინფორმაციას,

რომელიც წარმოდგენილია ან დამტკიცებულია პროექტის მენეჯერის მიერ კონტრაქტის განსახორციელებლად.

(ს) **დამკვეთი** არის მხარე, რომელიც ქირაობს კონტრაქტორს სამუშაოების განსახორციელებლად `კონტრაქტის კონკრეტული პირობების' შესაბამისად.

(ტ) **აღჭურვილობა** ნიშნავს კონტრაქტორის ტექნიკასა და მანქანებს, რომლებიც სამუშაოების განხორციელების მიზნით დროებით მიყვანილია სამშენებლო მოედანზე.

(უ) **"წერილობით" ან "წერილობითი ფორმით"** ნიშნავს ხელით დაწერილს, დაბეჭდილს, ამობეჭდილს ან ელექტრონულ დოკუმენტს, რომელიც შედეგად გარდაიქმნება მუდმივ ჩანაწერად.

(ფ) **კონტრაქტის საწყისი ფასი** წარმოადგენს დამკვეთის მიერ `მიღების წერილში' მითითებულ კონტრაქტის ფასს.

(ქ) **დასრულების დაგეგმილი თარიღი** ეწოდება იმ თარიღს, როდესაც კონტრაქტორს დაგეგმილი აქვს ობიექტის დასრულება. ობიექტის დასრულების დაგეგმილი თარიღი აღნიშნულია `კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში'. პროექტის მენეჯერს შეუძლია ობიექტის დასრულების დაგეგმილი თარიღის შეცვლა ვადის გაგრძელების ან დაჩქარების შესახებ ბრძანების გამოცემის გზით.

(ღ) **მასალები** ეწოდება ყველა მასალას, სახარჯო მასალების ჩათვლით, რომელიც გამოყენებულია კონტრაქტორის მიერ სამუშაოების შესასრულებლად.

(ყ) **დანადგარები** ნიშნავს ობიექტის განუყოფელ ნაწილებს, რომლებიც ასრულებენ მექანიკურ, ელექტრო, ქიმიურ ან ბიოლოგიურ ფუნქციებს.

(შ) **პროექტის მენეჯერი** არის `პროექტის კონკრეტულ პირობებში' დასახელებული პირი, (ან ნებისმიერი სხვა კომპეტენტური პირი, რომელსაც პროექტის მენეჯერის ნაცვლად დანიშნავს დამკვეთი და შეატყობინებს ამის შესახებ კონტრაქტორს), რომელიც პასუხისმგებელია სამუშაოთა შესრულების ზედამხედველობაზე და კონტრაქტის მართვაზე.

(ჩ) **კკპ** ნიშნავს კონტრაქტის კონკრეტულ პირობებს.

(აა) ობიექტის ტერიტორია ეწოდება იმ ადგილს, რომელიც ასე არის განსაზღვრული `პროექტის კონკრეტულ პირობებში' .

(ბბ) ობიექტის ტერიტორიის შესწავლის ანგარიშები ეწოდება სატენდერო დოკუმენტაციაში შეტანილ ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს ფაქტიურ და განმარტებით ანგარიშს ობიექტის ტერიტორიის ზედაპირისა და მიწისქვეშა მდგომარეობის შესახებ.

(გგ) სპეციფიკაციები ეწოდება კონტრაქტში შეტანილ სამუშაოების სპეციფიკაციებს და ნებისმიერ შესწორებას ან დამატებას, რომელიც შეტანილია ან დამტკიცებულია პროექტის მენეჯერის მიერ.

(დდ) დაწყების თარიღი მითითებულია პროექტის კონკრეტულ პირობებში. ეს არის თარიღი, როდესაც კონტრაქტორმა სამუშაოების განხორციელება უნდა დაიწყოს. ეს თარიღი შეიძლება არ ემთხვეოდეს ობიექტის ტერიტორიის ფლობის/გადაცემის თარიღებს.

(ეე) ქვეკონტრაქტორი წარმოადგენს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელმაც გააფორმა ხელშეკრულება კონტრაქტორთან სამუშაოების ნაწილის შესრულებაზე კონტრაქტის ფარგლებში, ობიექტზე სამუშაოების ჩათვლით.

(ვვ) დროებითი სამუშაო წარმოადგენს კონტრაქტორის მიერ დაპროექტებულ, აშენებულ, დამონტაჟებულ და გაუქმებულ სამუშაოებს, რომლებიც საჭიროა სამუშაოების აშენების ან მონტაჟისათვის.

(ზზ) ვარიაცია წარმოადგენს პროექტის მენეჯერის მიერ გაცემულ განკარგულებას, რომელიც სამუშაოების ცვლილებას იწვევს.

(თთ) სამუშაო ნიშნავს იმას, რაც კონტრაქტორმა უნდა ააშენოს, დაამონტაჟოს და დამკვეთს გადასცეს კონტრაქტის მიხედვით, როგორც მითითებულია კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში.

2. ინტერპრეტაცია

2.1 წინამდებარე კონტრაქტის პირობების ინტერპრეტირებისას მხოლობითი რიცხვი ნიშნავს მრავლობითსაც, ხოლო მრავლობითი - მხოლობითსაც,

მამრობითი გრამატიკული სქესი ნიშნავს ასევე მდედრობითსა და საშუალო სქესს და პირიქით. სათაურებს არა აქვს მნიშვნელობა. სიტყვები იხმარება თავისი ჩვეულებრივი მნიშვნელობით კონტრაქტის ენაში, საგანგებოდ განსაზღვრული შემთხვევების გარდა. პროექტის მენეჯერმა უნდა წარმოადგინოს განმარტებები წინამდებარე `კონტრაქტის ზოგადი პირობების' შესახებ დასმულ კითხვებთან დაკავშირებით.

2.2 თუ „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“ გათვალისწინებულია ობიექტის ნაწილ-ნაწილ დასრულება, მაშინ „კონტრაქტის ზოგად პირობებში“ მითითებული ობიექტი, დასრულების თარიღი და დასრულების დაგეგმილი თარიღი შეიძლება ეხებოდეს ობიექტის ნებისმიერ ნაწილს (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მითითებულია მთლიანი ობიექტის დასრულების თარიღი და დასრულების დაგეგმილი თარიღი).

2.3 კონტრაქტის შემადგენელი დოკუმენტაცია ინტეპრეტირებული უნდა იქნას დოკუმენტების პრიორიტეტულობის მიხედვით შემდეგი თანამიმდევრობის შესაბამისად:

(ა) ხელშეკრულება,

(ბ) მიღების წერილი,

(გ) კონტრაქტორის სატენდერო წინადადება,

(დ) კონტრაქტის კონკრეტული პირობები,

(ე) უფლებამოსილი ქვეყნები, რაც ჩამოთვლილი იყო სატენდერო დოკუმენტის მე-5 თავში

(ვ) კონტრაქტის ზოგადი პირობები, დანართის ჩათვლით,

(ზ) სპეციფიკაციები,

(თ) ნახაზები,

(ი) შევსებული სამუშაოთა მოცულობების უწყისი ან საქმიანობების გრაფიკი

(ი)“კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“ დასახელებული ნებისმიერი სხვა დოკუმენტაცია, როგორც კონტრაქტის შემადგენელი ნაწილი.

3. ენა და კანონმდებლობა

3.1 კონტრაქტის ენა და კონტრაქტის მარეგულირებელი კანონმდებლობა მითითებულია „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“.

3.2 კონტრაქტის განხორციელების პერიოდში, კონტრაქტორი დაიცავს დამკვეთის ქვეყნის აკრძალვებს საქონლისა და მომსახურების იმპორტთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში, თუ

(ა) კანონით ან ოფიციალური რეგულაციების თანახმად, დამკვეთის ქვეყანა კრძალავს სავაჭრო ურთიერთობებს იმ ქვეყანასთან;

(ბ) შესატყვისობის აქტით გაეროს უსაფრთხოების საბჭოს გადაწყვეტილებასთან, რომელიც მიღებულია გაეროს დებულების VII თავის შესაბამისად, დამკვეთის ქვეყანა კრძალავს ნებისმიერი სახის საქონლის იმპორტს ამ ქვეყნიდან ან გადახდებს ამ ქვეყნისათვის, ან მისი ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციისათვის. თუკი დამკვეთი ქვეყანა კრძალავს გადახდებს კონკრეტული ორგანიზაციისთვის ან კონკრეტული საქონლისთვის ამგვარი შესატყვისობის აქტით, ასეთი ფირმა შეიძლება გამოირიცხოს.

4. საკონტრაქტო შეთანხმება

4.1 მხარეებმა საკონტრაქტო შეთანხმება უნდა გააფორმონ კონტრაქტორის მიერ მიღების წერილის მიღებიდან 28 დღის ვადაში, თუ აღნიშნული სხვაგვარად არ არის განსაზღვრული კონკრეტული პირობებით. საკონტრაქტო შეთანხმება გაფორმდება მე-8 ნაწილში წარმოდგენილი საკონტრაქტო ფორმების საფუძველზე. საკონტრაქტო შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით კანონმდებლობით დაკისრებული სახელმწიფო გადასახადებს და მსგავს ხარჯებს (აღნიშნული ხარჯების არსებობის შემთხვევაში), დაფარავს დამკვეთი.

5. დავალება

5.1 არცერთ მხარეს არ აქვს მთლიანი კონტრაქტის, ან კონტრაქტის რომელიმე ნაწილის დავალების, ან კონტრაქტის ფარგლებში სარგებელის, ან პროცენტის დაკისრების უფლება, თუმცა, ერთ-ერთ მხარეს

(ა) აქვს (კონტრაქტის) მთლიანად, ან ნაწილობრივ დავალების უფლება - მეორე მხარესთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, აღნიშნული მეორე მხარის შეხედულებისამებრ; და

(ბ) შეუძლია, ბანკის ან ფინანსური დაწესებულების სასარგებლოდ, გადასცეს საკუთარი უფლება კონტრაქტის ფარგლებში გადასახდელ, ან მომავალში გადასახდელ თანხაზე - გარანტიის სახით.

6. დოკუმენტების განკარგვა და წარმოდგენა

6.1 სპეციფიკაციები და ნახაზები იქნება დამკვეთის განკარგულებაში და მისი მზრუნველობის ქვეშ. თუ აღნიშნულს სხვაგვარად არ განსაზღვრავს კონტრაქტი, კონტრაქტის და თითოეული შემდგომი ნახაზის ორი ასლი გადაეცემა კონტრაქტორს, რომელსაც შეუძლია გადაიღოს, ან მოითხოვოს დამატებითი ასლები, მისსავე (კონტრაქტორის) ხარჯზე.

6.2 კონტრაქტორის თითოეული დოკუმენტი იქნება კონტრაქტორის განკარგულებაში და მისი მზრუნველობის ქვეშ, სანამ აღნიშნული დოკუმენტაცია არ გადაეცემა დამკვეთს. თუ აღნიშნულს სხვაგვარად არ განსაზღვრავს კონტრაქტი, კონტრაქტორმა კონტრაქტორის თითოეული დოკუმენტის ექვსი ასლი უნდა გადასცეს ინჟინერს.

6.3 კონტრაქტორს ობიექტზე უნდა ჰქონდეს კონტრაქტის, სპეციფიკაციაში დასახელებული პუბლიკაციების, კონტრაქტორის დოკუმენტაციის (მსგავსი დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში), ნახაზების, ცვლილებების და კონტრაქტის ფარგლებში არსებული სხვა შეტყობინებების ასლები. დამკვეთის პერსონალს უნდა ჰქონდეს ყველა აღნიშნულ დოკუმენტზე წვდომის უფლება, ნებისმიერ გონივრულ დროს.

6.4 თუ ერთ-ერთი მხარისთვის ცნობილი გახდება იმ დოკუმენტის შეცდომის, ან დეფექტის შესახებ, რომელიც შემუშავდა სამუშაოების წარმოების პროცესში გამოყენების მიზნით, აღნიშნულმა მხარემ დაუყონებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს, აღნიშნული შეცდომის, ან დეფექტის შესახებ.

7. კონფიდენციალური ინფორმაცია

7.1 კონტრაქტორის და დამკვეთის პერსონალმა უნდა გაამჟღავნოს როგორც აღნიშნული კონფიდენციალური, ასევე სხვა სახის ინფორმაცია, თუ აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნება საჭიროა კონტრაქტორის კონტრაქტთან შესაბამისობის დადასტურების და მისი სათანადო განხორციელების მიზნით.

7.2 თითოეულმა მათგანმა უნდა უზრუნველყოს კონტრაქტთან დაკავშირებული ინფორმაციის პრივატულობა და კონფიდენციალურობა, ისეთი გამონაკლისების გათვალისწინებით, როდესაც არსებობს საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულების, ან მოქმედ კანონებთან შესაბამისობის საჭიროება. არცერთმა მხარემ არ უნდა გამოაქვეყნოს, ან გაამჟღავნოს მეორე მხარის მიერ მომზადებულ სამუშაოებთან დაკავშირებული ინფორმაცია, მეორე მხარესთან წინასწარი შეთანხმების გარეშე. თუმცა, კონტრაქტორს აქვს საჯაროდ ხელმისაწვდომი, ან სხვა სახის ინფორმაციის გამჟღავნების უფლება, სხვა პროექტებისთვის გამართულ კონკურენციაში მისი კვალიფიკაციის დადასტურების მიზნით.

7.3 ზემოაღნიშნულის მიუხედავად, კონტრაქტორს შეუძლია მიაწოდოს მის ქვეკონტრაქტორს (ქვეკონტრაქტორებს) დამკვეთისგან მიღებული დოკუმენტები, მონაცემები და სხვა ისეთი სახის ინფორმაცია, რაც ჭირდება ქვეკონტრაქტორს (ქვეკონტრაქტორებს) კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად. აღნიშნულ შემთხვევაში, კონტრაქტორმა შესაბამის ქვეკონტრაქტორს (ქვეკონტრაქტორებს) უნდა დააკისროს მოცემული მუხლის საფუძველზე კონტრაქტორზე დაკისრებული კონფიდენციალურობის დაცვის ანალოგიური პასუხისმგებლობა.

8. კანონებთან შესაბამისობა

8.1 კონტრაქტის განხორციელების პროცესში, კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისობა მოქმედ კანონებთან.

8.2 თუ აღნიშნულს სხვაგვარად არ განსაზღვრავს კონკრეტული პირობები,

(ა) დამკვეთმა უნდა შეიძინოს და გადაიხადოს [დამკვეთის ქვეყანაში, ან ობიექტის (სადაც ობიექტი მდებარეობს) ქვეყანაში] მოქმედი ყველა ადგილობრივი, სახელმწიფო, ან ეროვნული სახელმწიფო უწყებებიდან, ან საჯარო სამსხურიდან მისაღები ნებართვის, თანხმობის და/ან ლიცენზიის საფასური, (i) რის მიღებასაც აღნიშნული უწყებები ითხოვენ დამკვეთისგან - დამკვეთის სახელზე; და (ii) რაც აუცილებელია როგორც კონტრაქტის შესრულებისთვის, ასევე კონტრაქტორის და დამკვეთის მიერ კონტრაქტით დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად.

(ბ) კონტრაქტორმა უნდა შეიძინოს და გადაიხადოს [დამკვეთის ქვეყანაში, ან ობიექტის (სადაც ობიექტი მდებარეობს) ქვეყანაში] მოქმედი ყველა ადგილობრივი, სახელმწიფო, ან ეროვნული სახელმწიფო უწყებებიდან, ან საჯარო სამსხურიდან მისაღები ნებართვის, თანხმობის და/ან ლიცენზიის საფასური, რის მიღებასაც აღნიშნული უწყებები ითხოვენ კონტრაქტორისგან მისსავე სახელზე და რაც აუცილებელია კონტრაქტის შესრულებისთვის, მათ შორის, და გამონაკლისის გარეშე: კონტრაქტორის და ქვეკონტრაქტორის პერსონალის ვიზები და კონტრაქტორის იმპორტირებული აღჭურვილობის შემოტანის ნებართვები. კონტრაქტორმა უნდა შეიძინოს ასევე ყველა სხვა ნებართვა, თანხმობა და/ან ლიცენზია, რაც არ წარმოადგენს დამკვეთის ვალდებულებას 8.2 (ა) ქვემუხლის მიხედვით და რაც აუცილებელია - კონტრაქტის შესასრულებლად. კონტრაქტორმა დამკვეთი უნდა გაათავისუფლოს ნებისმიერ ვალდებულებასთან, ზარალთან, მოთხოვნასთან, ჯარიმებთან და სანქციებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისგან, რაც დაკავშირებულია, ან განპირობებულია დამკვეთის, ან მისი

პერსონალის, ასევე ქვეკონტრაქტორების და მათი პერსონალის მიერ შესაბამისი კანონების დარღვევის შედეგად, თუმცა, აღნიშნული არ მოახდენს ზეგავლენას 8.1 ქვემუხლის მოქმედებაზე.

9. პასუხისმგებლობა ერთად და ცალ-ცალკე	9.1	თუ კონტრაქტორი წარმოადგენს ერთი, ან მეტი პირისგან შემდგარ ერთობლივ საწარმოს, ყველა აღნიშნული პირი დამკვეთის წინაშე კონტრაქტის დებულებების შესრულებაზე პასუხისმგებელი იქნება ერთობლივად და ცალ-ცალკე. აღნიშნულ პირებს შორის უნდა დაინიშნოს ერთი პირი, რომელიც იმოქმედებს ხელმძღვანელის სტატუსით და მიენიჭება ერთობლივი საწარმოს საქმიანობის წარმოების უფლებამოსილება. ერთობლივი საწარმოს შემადგენლობა, ან სტრუქტურა არ უნდა შეიცვალოს დამკვეთის წინასწარი თანხმობის გარეშე.
10. პროექტის მენეჯერის გადაწყვეტილებები	10.1	გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს სხვაგვარი მითითება, დამკვეთსა და კონტრაქტორს შორის კონტრაქტთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებებს იღებს პროექტის მენეჯერი, რომელიც დამკვეთის წარმომადგენელია.
11. დელეგირება	11.1	კკპ-ში სხვაგვარი მითითების არარსებობის შემთხვევაში, კონტრაქტის მენეჯერს შეუძლია თავისი ნებისმიერი ვალდებულებებისა და მოვალეობების სხვა პირებისათვის დელეგირება (მომრიგებლის გარდა) კონტრაქტორისათვის შეტყობინების მიწოდების შემდეგ და შეუძლია ამ გადაწყვეტილების გაუქმება კონტრაქტორისათვის შეტყობინების გაგზავნის შემდეგ.
12. კომუნიკაცია	12.1	კონტრაქტის პირობებში მითითებულ მხარეთა შორის კომუნიკაცია მხოლოდ იმ შემთხვევაშია ძალაში, თუ ხორციელდება წერილობით. შეტყობინება ძალაშია მხოლოდ მისი მიწოდების შემდეგ.
13. ქვე-კონტრაქტორები	13.1	პროექტის მენეჯერის თანხმობის საფუძველზე კონტრაქტორს შეუძლია სამუშაოების ნაწილზე ქვეკონტრაქტორთან კონტრაქტის გაფორმება, მაგრამ არა აქვს უფლება გადასცეს მას კონტრაქტი დამკვეთის

წერილობითი თანხმობის გარეშე. ქვეკონტრაქტორთან კონტრაქტის გაფორმება არ ცვლის კონტრაქტორის ვალდებულებებს. კონტრაქტორმა თავის ქვე-კონტრაქტორებს უნდა მოსთხოვოს სამუშაოების განხორციელება კონტრაქტის საფუძველზე, რაც ასევე გულისხმობს შესაბამის ESMF მოთხოვნებთან და კონტრაქტის ზოგადი პირობების 26.1 ქვე-პარაგრაფში მითითებულ მოვალეობებთან შესატყვისობას.

14. სხვა კონტრაქტორები

14.1 კონტრაქტორმა უნდა ითანამშრომლოს სხვა კონტრაქტორებთან, სახელმწიფო ორგანიზაციებთან, კომუნალურ სამსახურებთან და მათთან ერთად იმუშაოს ობიექტის ტერიტორიაზე „სხვა კონტრაქტორების გრაფიკში" მითითებულ პერიოდში, როგორც „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებშია" აღნიშნული. კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს მათთვის ის საშუალებები და მომსახურება, რომელიც „სხვა კონტრაქტორების გრაფიკშია" მითითებული. დამკვეთს შეუძლია `სხვა კონტრაქტორების გრაფიკში' ცვლილებების შეტანა და მან უნდა აცნობოს კონტრაქტორს ნებისმიერი ამგვარი ცვლილებების შესახებ.

15. პერსონალი და აღჭურვილობა

15.1 კონტრაქტორმა უნდა დაიქირავოს ის ძირითადი პერსონალი და გამოიყენოს ის აღჭურვილობა, რომელიც მითითებულია მის სატენდერო წინადადებაში, ან პროექტის მენეჯერის მიერ დამტკიცებული ნებისმიერი სხვა პერსონალი ან აღჭურვილობა. პროექტის მენეჯერი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაამტკიცებს ძირითადი პერსონალის ცვლილებას, თუ შემოთავაზებული კანდიდატების კვალიფიკაცია და შემოთავაზებული აღჭურვილობის ტექნიკური მახასიათებლები არსებითად თანაბარია ან აღემატება სატენდერო წინადადებაში მითითებულს.

15.2 თუკი პროექტის მენეჯერი მოსთხოვს კონტრაქტორს ობიექტიდან გაიყვანოს კონტრაქტორის პერსონალი ან მუშახელი, მიზეზების მითითებით, კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს, რომ აღნიშნული პირი ობიექტს დატოვებს 7 დღის განმავლობაში და მას აღარ ექნება რაიმე შეხება კონტრაქტის სამუშაოებთან.

15.3 თუკი დამკვეთი, პროექტის მენეჯერი ან კონტრაქტორი დაადგენს, რომ კონტრაქტორის დაქირავებული ნებისმიერ პირი შემჩნეულია კორუფციულ, თაღლითობის, გარიგების, იძულების ან ობსტრუქციულ ან სხვა აკრძალულ ქმედებაში ან სხვა არაკეთილსინდისიერ ქმედებაში სამუშაოების შესრულებისას, აღნიშნული პირი გაყვანილ უნდა იქნეს ობიექტიდან ზემოაღნიშნული 15.2 მუხლის შესაბამისად.

16. დამკვეთის და კონტრაქტორის რისკები

16.1 დამკვეთს ეკისრება ის რისკი, რომელიც წინამდებარე კონტრაქტის თანახმად მიჩნეულია დამკვეთის რისკად, ხოლო კონტრაქტორს ეკისრება ის რისკი, რომელიც წინამდებარე კონტრაქტის თანახმად მიჩნეულია კონტრაქტორის რისკად.

17. დამკვეთის რისკები

17.1 დაწყების თარიღიდან დეფექტებზე პასუხისმგებლობის სერთიფიკატის გაცემის თარიღამდე პერიოდში დამკვეთის რისკებად ითვლება:

(ა) პერსონალის ტრავმების ან სიკვდილის, ქონების (სამუშაოების, დანადგარების, მასალების და აღჭურვილობის გარდა) დაკარგვის ან დაზიანების

რისკები, რომელიც გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით:

(i) სამუშაოების მიერ ან სამუშაოების მიზნებისათვის ობიექტის გამოყენება ან დაკავება, რაც სამუშაოების გარდაუვალ შედეგს წარმოადგენს;

(ii) დამკვეთის მხრიდან ან დამკვეთის მიერ დაქირავებული ან კონტრაქტის საფუძველზე აყვანილი ნებისმიერი პირის მხრიდან (კონტრაქტორის გარდა) დაუდევრობა, კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან კანონიერი უფლებების დარღვევა.

(ბ) სამუშაოების, დანადგარების, მასალებისა და აღჭურვილობის დაზიანების რისკი იმდენად, რამდენადაც ეს წარმოადგენს დამკვეთის ან მისი პროექტის ბრალს ან გამოწვეულია ომით ან რადიაციული დაბინძურებით, რომელიც განიცადა ქვეყანამ, სადაც ობიექტი უნდა აშენებულიყო.

17.2 დასრულების თარიღიდან დეფექტებზე პასუხისმგებლობის სერთიფიკატის გაცემის თარიღამდე პერიოდში ობიექტის, დანადგარების და მასალების დაკარგვისა და დაზიანების რისკები დამკვეთის რისკებად ითვლება. გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევები, როდესაც დაკარგვა და დაზიანება გამოწვეულია:

(ა) იმ დეფექტით, რომელიც დასრულების დღეს არსებობდა;

(ბ) იმ მოვლენით, რომელიც დასრულების თარიღამდე მოხდა და არ ითვლება დამკვეთის რისკად;

(გ) კონტრაქტორის საქმიანობით, ობიექტის ტერიტორიაზე დასრულების თარიღის შემდგომ პერიოდში.

18. კონტრაქტორის რისკები

12.1 დაწყების თარიღიდან დეფექტებზე პასუხისმგებლობის სერთიფიკატის გაცემის თარიღამდე პერიოდში პერსონალის ტრავმების ან სიკვდილის, ქონების (ობიექტის, დანადგარების, მასალების და

აღჭურვილობის ჩათვლით) დაკარგვისა და დაზიანების რისკები, რომლებიც არ წარმოადგენს დამკვეთის რისკს, ითვლება კონტრაქტორის რისკებად.

19. დაზღვევა

19.1 კონტრაქტორი ვალდებულია დამკვეთისა და კონტრაქტორის ერთობლივი სახელით დააზღვიოს ობიექტი დაწყების თარიღიდან დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის გასვლამდე იმ თანხასა და ფრანშიზაზე, რომელიც მოცემულია `კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში'. დაზღვევას ექვემდებარება კონტრაქტორის რისკად მიჩნეული შემდეგი გარემოებები:

(ა) ობიექტის, დანადგარებისა და მასალების დაკარგვა ან დაზიანება;

(ბ) აღჭურვილობის დაკარგვა ან დაზიანება;

(გ) ქონების დაკარგვა ან დაზიანება (ობიექტის, დანადგარების. მასალების და აღჭურვილობის გარდა) კონტრაქტთან დაკავშირებით;

(დ) ადამიანების ტრავმები ან სიკვდილი.

19.2 ობიექტის დაწყების თარიღამდე კონტრაქტორმა დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს პროექტის მენეჯერს სადაზღვევო პოლისები და სერთიფიკატები. ყველა მათგანში გათვალისწინებული უნდა იყოს კომპენსაციის გადახდა იმ ვალუტაში და იმ პროპორციული ოდენობით, რომელიც საჭიროა გაწეული ზარალისა და დანაკარგის ასანაზღაურებლად.

19.3 თუ კონტრაქტორმა ვერ წარმოადგინა აღნიშნული პოლისები ან სერთიფიკატები, დამკვეთს შეუძლია კონტრაქტორის ნაცვლად თვითონ უზრუნველყოს დაზღვევა და გამოქვითოს სადაზღვევო შენატანების თანხა კონტრაქტორისთვის გადასახდელი თანხებიდან, ან თუ ამგვარი გადახდები გათვალისწინებული არ არის, სადაზღვევო შენატანების თანხა მიჩნეული იქნება კონტრაქტორის ვალად.

19.4 არ შეიძლება დაზღვევის პირობების შეცვლა პროექტის მენეჯერის თანხმობის გარეშე.

19.5 ორივე მხარე ვალდებულია შეასრულოს სადაზღვევო პოლისების ყველა პირობა.

20. ობიექტის კვლევის ანგარიშები	20.1	სატენდერო წინადადების მომზადების პროცესში, კონტრაქტორმა უნდა იხელმძღვანელოს კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში დასახელებული ობიექტის კვლევის ანგარიშებით, რაც გამყარებული იქნება კოტნრაქტორისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციით.
21. სამუშაოების კონსტრუირება კონტრაქტორის მიერ	21.1	სამუშაოების კონსტრუირება და მონტაჟი კონტრაქტორმა უნდა განახორციელოს სპეციფიკაციების და ნახაზების შესაბამისად.
22. ობიექტის დასრულება დაგეგმილი თარიღისათვის	22.1	კონტრაქტორს შეუძლია დაიწყოს ობიექტის მშენებლობა დაწყების თარიღიდან და განახორციელოს სამუშაოები მის მიერ წარდგენილი პროგრამის შესაბამისად, რომელიც შეიძლება განახლებული იქნას პროექტის მენეჯერის თანხმობით და უნდა დაასრულოს ობიექტი დასრულების დაგეგმილი თარიღისათვის.
23. კონტრაქტორის ნახაზები და პროექტის მენეჯერის თანხმობა	23.1	კონტრაქტორმა ტექნიკური პროექტი უნდა შეასრულოს კონტრაქტის კონკრეტული პირობებით განსაზღვრული მოცემულობის შესაბამისად. კონტრაქტორმა მის მიერ მომზადებული ყველა პროექტი დაუყონებლივ უნდა წარუდგინოს დამკვეთს. მიღებიდან 14 დღის ვადაში, დამკვეთი წარმოადგენს შენიშვნებს. კონტრაქტორმა არ უნდა მოახდინოს მისივე პროექტის მუდმივი სამუშაოს რომელიმე ნაწილის კონსტრუირება დამკვეთისთვის პროექტის წარდგენიდან 14 დღის ვადაში, ან აღნიშნულ ნაწილთან დაკავშირებული პროექტის უარყოფის შემთხვევაში. უარყოფილი პროექტი დაუყონებლივ უნდა შეიცვლოს და თავიდან იქნას წარმოდგენილი. კონტრაქტორმა ხელახლა უნდა წარმოადგინოს ყველა პროექტი, რომელზეც მოხდა შენიშვნების გაცემა, აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით - საჭიროების მიხედვით.
	23.2	კონტრაქტორმა პროექტის მენეჯერს დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს სპეციფიკაციები და ნახაზები, რომლებშიც ნაჩვენები იქნება დაგეგმილი დროებითი სამუშაოები.

23.3 კონტრაქტორი პასუხისმგებელია დროებითი სამუშაოების პროექტზე.

23.4 პროექტის მენეჯერის თანხმობა არ შეცვლის დროებითი სამუშაოების პროექტზე კონტრაქტორის პასუხისმგებლობას.

23.5 როდესაც ეს საჭიროა, კონტრაქტორმა უნდა მიიღოს მესამე მხარის თანხმობა დროებითი სამუშაოების პროექტებზე.

23.6 კონტრაქტორის მიერ დროებითი ან მუდმივი სამუშაოების მშენებლობისათვის მომზადებული ყველა ნახაზი წინასწარ უნდა იქნას დამტკიცებული პროექტის მენეჯერის მიერ, მათ გამოყენებამდე.

24. უსაფრთხოება

24.1 კონტრაქტორი პასუხისმგებელია მის მიერ ობიექტის ტერიტორიაზე წარმოებული ყველა საქმიანობის უსაფრთხოებაზე.

25. აღმოჩენები

25.1 ყველა სახის მოულოდნელი აღმოჩენა, რომელსაც აქვს ისტორიული ან სხვა სახის მნიშვნელობა ან ღირებულება, წარმოადგენს დამკვეთის საკუთრებას. კონტრაქტორმა შეძლებისდაგვარად უნდა შეატყობინოს პროექტის მენეჯერს აღმოჩენის შესახებ და შეასრულოს პროექტის მენეჯერის ინსტრუქციები აღნიშნულთან დაკავშირებით.

26. ობიექტის ტერიტორიის გადაცემა

26.1 დამკვეთმა ობიექტის ტერიტორია მთლიანად უნდა გადასცეს კონტრაქტორს. თუ „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში" მოცემული თარიღისათვის მისი რომელიმე ნაწილი არ არის გადაცემული კონტრაქტორისათვის, მიჩნეული იქნება, რომ დამკვეთი აყოვნებს შესაბამისი საქმიანობის დაწყებას და ეს საკომპენსაციო გარემოებას წარმოადგენს.

27. ობიექტის ტერიტორიაზე შესვლა

27.1 კონტრაქტორმა უნდა მისცეს საშუალება პროექტის მენეჯერს და პროექტის მენეჯერის მიერ უფლებამოსილ ნებისმიერ პირს შევიდეს ობიექტის ტერიტორიაზე ან ნებისმიერ ადგილას, სადაც ხორციელდება ან უნდა განხორციელდეს კონტრაქტთან დაკავშირებული სამუშაოები.

28. მითითებები, ინსპექტირება და აუდიტი

28.1 კონტრაქტორმა უნდა განახორციელოს პროექტის მენეჯერის ყველა განკარგულება, რომელიც შეესაბამება იმ ადგილის კანონმდებლობას, სადაც ობიექტი მდებარეობს.

28.2 კონტრაქტორმა უნდა აწარმოოს, და ყველანაირ ძალისხმევას მიმართოს რათა უზრუნველყოს, რომ მისმა ქვე-კონტრაქტორებმა და ქვე-კონსულტანტებმა აწარმოონ ზუსტი და სისტემატიური აღრიცხვა და ანგარიშები სამუშაოებთან დაკავშირებით, იმ ფორმითა და დეტალურობით, რომ ნათლად განისაზღვროს შესაბამისი ცვლილებები დროსა და ხარჯებში.

28.3 კონტრაქტორმა ნება უნდა დართს ADB-ს, რათა მან შეამოწმოს კონტრაქტორის ანგარიშები, ჩანაწერები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია წინადადების წარდგენასთან და კონტრაქტის შესრულებასთან და ჩაატაროს აუდიტი ADB -ის მიერ დანიშნული აუდიტორების მიერ. კონტრაქტორმა უნდა შეინახოს კონტრაქტთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი და ჩანაწერი სამუშაოების დასრულებიდან სამი (3) წლის განმავლობაში. კონტრაქტორმა უნდა გადასცეს ყველა დოკუმენტი, რომელიც საჭიროა გამოძიებისთვის, თუ არსებობს ვარაუდი კორუფციულ, თაღლითურ, გარიგების, იძულების, ან ობსტრუქციული ქმედებებზე ან სხვა არაკეთილსინდისიერ ქმედებაზე. კონტრაქტორმა უნდა მოსთხოვოს მის დაქირავებულ პერსონალს ან აგენტებს, რომლებსაც აქვთ ცოდნა კონტრაქტთან დაკავშირებით, რომ უპასუხონ ADB -ის შეკითხვებს.

29. მომრიგებლის დანიშვნა

29.1 დამკვეთმა და კონტრაქტორმა ერთობლივად უნდა დაასახელონ მომრიგებელი დამკვეთის მიერ გამოცემულ “მიღების წერილში“. თუ “მიღების წერილში” დამკვეთი არ ასახელებს მომრიგებელს, მან მომრიგებლის დანიშვნის თხოვნით უნდა მიმართოს “პროექტის კონკრეტულ პირობებში“ დასახელებულ უწყებას, რომელმაც მომრიგებელი უნდა დანიშნოს ამგვარი თხოვნის მიღებიდან 14 დღის განმავლობაში.

29.2 მომრიგებლის გადაგომის ან გარდაცვალების შემთხვევაში, ან თუ დამკვეთი და კონტრაქტორი შეთანხმდებიან, რომ მომრიგებელი არ მოქმედებს კონტრაქტის დებულებების მიხედვით, დამკვეთმა და კონტრაქტორმა ერთობლივად უნდა დანიშნონ ახალი მომრიგებელი. თუ დამკვეთი და კონტრაქტორი 30 დღის განმავლობაში ვერ შეთანხმდნენ მომრიგებლის დანიშვნაზე, მომრიგებელს დაასახელებს “პროექტის კონკრეტულ პირობებში” მითითებული შესაბამისი უწყება რომელიმე მხარის მოთხოვნის საფუძველზე, ამგვარი მოთხოვნის მიღებიდან 14 დღის განმავლობაში.

30. დავების გადაწყვეტის პროცედურა

30.1 თუ კონტრაქტორის აზრით, პროექტის მენეჯერის გადაწყვეტილება სცილდება კონტრაქტის ფარგლებში მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს ან არასწორად იქნა მიღებული, პროექტის მენეჯერის მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებიდან 14 დღის განმავლობაში ეს გადაწყვეტილება მომრიგებელს უნდა წარედგინოს.

30.2 დავის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 28 დღის განმავლობაში მომრიგებელმა უნდა წარმოადგინოს წერილობითი გადაწყვეტილება.

30.3 მომრიგებელს ექნება საათობრივი ანაზღაურება “პროექტის კონკრეტულ პირობებში” მითითებული განაკვეთის შესაბამისად, და აუნაზღაურდება “საკონტრაქტო მონაცემებში” აღნიშნული ანაზღაურებადი ხარჯები. მიუხედავად იმისა, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს მომრიგებელი, ზემოაღნიშნული ხარჯები თანაბრად უნდა განაწილდეს დამკვეთსა და კონტრაქტორს შორის. მომრიგებლის მიერ წერილობითი გადაწყვეტილების მიღებიდან 28 დღის განმავლობაში ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს არბიტრაჟს. თუ ზემოაღნიშნული 28 დღის განმავლობაში არცერთი მხარე არ მიმართავს არბიტრაჟს, მომრიგებლის გადაწყვეტილება იქნება საბოლოო და სავალდებულო.

30.4 არბიტრაჟი უნდა ჩატარდეს იმ უწყების მიერ გამოქვეყნებული პროცედურების შესაბამისად და იმ

ადგილას, რომელიც `კონტრაქტის კონკრეტული პირობებში' არის მითითებული.

ზ. პერსონალი და მუშახელი

31. იძულებითი შრომა

31.1 კონტრაქტორის მიერ არ უნდა მოხდეს იძულებითი შრომის გამოყენება, რაც გულისხმობს არა ნებაყოფლობით შესრულებულ სამუშაოს, ან მომსახურებას, რაც მიიღება ინდივიდისგან ძალისმიერი, ან დაჯარიმების მუქარით. აღნიშნული გულისხმობს ნებისმიერი სახის ისეთ არა ნებაყოფლობით, ან სავალდებულო საქმიანობას, როგორიცაა კაბალური, იძულებითი შრომა, ან მსგავსი სახის შრომითი კონტრაქტის პირობები.

32. ბავშვთა შრომა

32.1 კონტრაქტორმა არ უნდა დაასაქმოს ბავშვები რაიმე სახის სამუშაოს შესასრულებლად, მათ შორის ეკონომიკური ექსპლოატაციის მიზნით, ან ისეთი საქმიანობის განსახორციელებლად, რაც სავარაუდოდ სახიფათო იქნება, ან ხელს შეუშლის ბავშვის მიერ განათლების მიღებას, ან საზიანო იქნება ბავშვის ჯანმრთელობისთვის, ან მისი ფიზიკური, მენტალური, სულიერი, მორალური, თუ სოციალური განვითარებისთვის. ეროვნულ კანონმდებლობაში არასრულწლოვნების დასაქმების დებულებების არსებობის შემთხვევაში, კონტრაქტორმა უნდა დაიცვას აღნიშნული, კონტრაქტორთან მიმართებაში მოქმედი კანონები. 18 წელს ქვემოთ ასაკის ბავშვების დასაქმება სახიფათო სამუშაოებზე არ არის ნებადართული.

33. მშრომელთა ორგანიზაციები

33.1 იმ ქვეყნებში, სადაც ეროვნული კანონი აღიარებს მშრომელთა უფლებებს, რომ შექმნან, ან შეუერთდნენ მშრომელთა ორგანიზაციებს საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად, კოლექტიური ჩარევის და შეთანხმების გარეშე, კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისობა აღნიშნულ ეროვნულ კანონთან. თუ ეროვნული კანონი არსებითად კრძალავს მშრომელთა ორგანიზაციებს, კონტრაქტორმა უნდა მისცეს კონტრაქტორის პერსონალს ალტერნატიული საშუალებებით სარგებლობის უფლება, რათა მათ გამოხატონ უკმაყოფილება და დაიცვან საკუთარი უფლებები სამუშაო და დასაქმების პირობებთან დაკავშირებით. ზემოთ აღწერილი მოცემულობის

დადგომის და ეროვნული კანონმდებლობის დუმილის შემთხვევაში, კონტრაქტორმა არ უნდა შეუქმნას დაბრკოლება და არ უნდა შეუშალოს ხელი კონტრაქტორის პერსონალს, რომ შეუერთდეს, ან შექმნას მშრომელთა ორგანიზაციები - საკუთარი, ან კოლექტიური გადაწყვეტილებით, და არ უნდა მოახდინოს კონტრაქტორის იმ პერსონალის დისკრიმინაცია, ან შეურაცხყოფა, ვინც მონაწილეობას იღებს, ან სურს მონაწილეობის მიღება მსგავს ორგანიზაციებსა და კოლექტიურ შეთანხმებაში. კონტრაქტორმა უნდა ითანამშრომლოს აღნიშნული თანამშრომლების წარმომადგენლებთან. მშრომელთა ორგანიზაციებს თანამშრომლები შესაბამის სამუშაო რესურსებში უნდა წარმოადგენდნენ სამართლიანად.

34. დისკრიმინაციის არ არსებობა და თანაბარი შესაძლებლობები

34.1 დასაქმებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები კონტრაქტორმა არ უნდა მიიღოს პირადი დახასიათების საფუძველზე, რაც არ არის კავშირში სამუშაო ადგილისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებთან. შრომითი ურთიერთობა კონტრაქტორმა უნდა ააგოს თანასწორი შესაძლებლობების და სამართლიანი მიდგომის საფუძველზე და არ უნდა მოახდინოს დისკრიმინაცია, შრომითი ურთიერთობების, მათ შორის, სამსახურში აყვანის და დაქირავების, კომპენსაციის (მათ შორის ხელფასების და ბენეფიტების), სამუშაო და დასაქმების პირობების, ტრენინგებზე დასწრების, სამსახურებრივი დაწინაურების, დასაქმების შეწყვეტის, ან პენსიაზე გასვლის და დისციპლინის კონტექსტში. ქვეყნებში, სადაც არა-დისკრიმინაციული დასაქმება ეროვნული კანონით არის გათვალისწინებული, კონტრაქტორი უზრუნველყოფს შესაბამისობას აღნიშნულ ეროვნულ კანონთან. როდესაც ეროვნული კანონი დუმს არა-დისკრიმინაციული დასაქმების შესახებ, კონტრაქტორმა უნდა დააკმაყოფილოს წარმოდგენილი ქვემუხლის მოთხოვნები. დაცვის განსაკუთრებული ზომების გატარება, ან ადრინდელი დისკრიმინაციის აღმოფხვრის ხელშეწყობა, ან კონკრეტულ სამუშაო პოზიციაზე შერჩევა შესაბამისი მოთხოვნების საფუძველზე, დისკრიმინაციად არ იქნება მიჩნეული.

გ. ვადების კონტროლი

35. პროგრამა

35.1. კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში მითითებულ პერიოდში, „მიღების წერილის“ თარიღის შემდეგ, კონტრაქტორმა

პროექტის მენეჯერს დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს პროგრამა, რომელიც ასახავს სამუშაოთა წარმოების ზოგად მეთოდებს, ორგანიზაციას, თანმიმდევრობას და ვადებს. ფიქსირებული ღირებულების მქონე კონტრაქტის შემთხვევაში, პროგრამაში და საქმიანობის გრაფიკში ასახული ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს ერთმანეთს.

35.2 განახლებული პროგრამა წარმოადგენს პროგრამას, რომელშიც ნაჩვენები იქნება თითოეული სამუშაოს ფაქტიური პროგრესი და ის ზეგავლენა, რომელსაც ის მოახდენს დარჩენილი სამუშაოების ვადებზე, საქმიანობების თანმიმდევრობის ნებისმიერი ცვლილების ჩათვლით.

35.3 კონტრაქტორმა უნდა აწარმოოს სამუშაოების მიმდინარეობის მონიტორინგი და პროექტის მენეჯერს უნდა წარუდგინოს სამუშაოების მიმდინარეობის ამსახველი ანგარიში და განახლებული პროგრამა, რომელშიც ნაჩვენები იქნება რეალურად მიღწეული პროგრესი და მიღწეული პროგრესის ზეგავლენა დარჩენილი სამუშაოების ვადებზე, საქმიანობების თანმიმდევრობის ნებისმიერი ცვლილების გათვალისწინებით - არა უგვიანეს დროის იმ ინტერვალებისა, რომლებიც მითითებულია **კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში.** იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორი მითითებულ ვადებში განახლებულ პროგრამას ვერ წარმოადგენს, პროექტის მენეჯერს შეუძლია გადახდის შემდეგი სერტიფიკატიდან დაუკავოს კონტრაქტორს **კონტრაქტის კონკრეტული პირობებით** დადგენილი თანხა და დაკავებული ჰქონდეს ეს თანხა შემდეგ გადახდამდე, რომელიც პროგრამის დაგვიანებით წარდგენის თარიღის შემდეგ განხორციელდება. ფიქსირებული ღირებულების მქონე კონტრაქტის შემთხვევაში, კონტრაქტორმა საქმიანობის განახლებული გრაფიკი უნდა წარმოადგინოს პროექტის მენეჯერის შესაბამისი მითითების მიღებიდან 14 დღის განმავლობაში.

35.4 პროგრამის დამტკიცება პროექტის მენეჯერის მიერ, არ ცვლის კონტრაქტორის ვალდებულებებს. კონტრაქტორს შეუძლია შეასწოროს პროგრამა და ნებისმიერ დროს, კვლავ წარუდგინოს იგი პროექტის მენეჯერს. კორექტირებულ პროგრამაში უნდა აისახოს ცვლილებების და საკომპენსაციო გარემოებების ზემოქმედების შედეგი.

36. ობიექტის დასრულების დაგეგმილი ვადის გაგრძელება

36.1 პროექტის მენეჯერმა უნდა გააგრძელოს ობიექტის დასრულების დაგეგმილი თარიღი, თუ ადგილი ჰქონდა საკომპენსაციო გარემოებებს, ან გაცემული იქნა ცვლილების შესახებ განკარგულება, რომელთა გამო შეუძლებელი გახდა ობიექტის დასრულება დაგეგმილი თარიღისათვის კონტრაქტორის მიერ დარჩენილ სამუშაოთა დაჩქარების გარეშე, რაც გამოიწვევს კონტრაქტორის დამატებით ხარჯებს.

36.2 პროექტის მენეჯერმა უნდა გადაწყვიტოს გააგრძელოს თუ არა და რა პერიოდით გააგრძელოს ობიექტის დასრულების ვადა 21 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც კონტრაქტორი მიმართავს მას საკომპენსაციო გარემოებებთან ან ცვლილების შესახებ განკარგულებასთან დაკავშირებით ვადის გაგრძელების თხოვნით და წარუდგენს სრულ დამადასტურებელ ინფორმაციას. თუ კონტრაქტორმა ვერ უზრუნველყო დაყოვნების შესახებ დროული გაფრთხილების წარდგენა ან ხელს არ უწყობდა ამ დაყოვნების აღმოფხვრას, ამგვარი დაყოვნება არ იქნება გათვალისწინებული ახალი დაგეგმილი დასრულების თარიღის განსაზღვრის დროს.

37. დაჩქარება

37.1 როდესაც დამკვეთს სურს, რომ კონტრაქტორმა ობიექტი დასრულების დაგეგმილ თარიღზე ადრე დაასრულოს, პროექტის მენეჯერმა კონტრაქტორისაგან უნდა მიიღოს წინადადება დაჩქარებისათვის აუცილებელი ღონისძიებების შესახებ მათი ფასების მითითებით. თუ დამკვეთი მიიღებს ამ წინადადებას, ობიექტის დასრულების დაგეგმილი თარიღი შესაბამისად უნდა შესწორდეს და დამტკიცებულ იქნას როგორც დამკვეთის, ასევე კონტრაქტორის მიერ.

37.2 თუ დამკვეთი მიიღებს დაჩქარების ღონისძიებებისა და მათი ფასების შესახებ კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილ წინადადებას, ეს წინადადება გათვალისწინებული იქნება კონტრაქტის ფასში და ჩაითვლება ცვლილებად.

38. პროექტის მენეჯერის ბრძანებით გამოწვეული დაყოვნებები

38.1 პროექტის მენეჯერს შეუძლია მისცეს მითითება კონტრაქტორს სამუშაოების დაწყების დაყოვნების ან სამუშაოების ფარგლებში ნებისმიერი საქმიანობის დაყოვნების შესახებ.

39. ადმინისტრაციული თათბირები

39.1 პროექტის მენეჯერს და კონტრაქტორს შეუძლიათ მოსთხოვონ ერთმანეთს ადმინისტრაციულ თათბირებზე დასწრება. ადმინისტრაციული თათბირების მიზანია შესასრულებელ სამუშაოებთან დაკავშირებული გეგმების განხილვა და დროული გაფრთხილების პროცედურის შესაბამისად წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტა.

39.2 პროექტის მენეჯერმა უნდა შეადგინოს ადმინისტრაციული თათბირის ოქმი, რომლის ასლები დაურიგდებათ თათბირზე დამსწრეებსა და დამკვეთს. ჩასატარებელი ღონისძიებების მიმართ მხარეების პასუხისმგებლობა პროექტის მენეჯერის მიერ გადაწყდება ან ადმინისტრაციულ თათბირზე ან მის შემდგომ და წერილობითი ფორმით დაეგზავნება ყველა დამსწრეს.

40. დროული გაფრთხილება

40.1 კონტრაქტორი ვალდებულია შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში მოაწოდოს პროექტის მენეჯერს ინფორმაცია მოსალოდნელ მოვლენებზე ან გარემოებებზე, რომლებსაც შეუძლია უარყოფითად იმოქმედონ სამუშაოთა ხარისხზე, გაზარდონ კონტრაქტის ღირებულება ან შეაყოვნონ სამუშაოთა განხორციელება. პროექტის მენეჯერს შეუძლია მოსთხოვოს კონტრაქტორს, შეაფასოს ამგვარი მოვლენებითა და გარემოებებით გამოწვეული ზემოქმედება კონტრაქტის ღირებულებაზე ან ობიექტის დასრულების ვადაზე. კონტრაქტორმა მაქსიმალურად მოკლე ვადაში უნდა წარმოადგინოს ზემოაღნიშნული შეფასება.

40.2 კონტრაქტორმა პროექტის მენეჯერთან ერთად უნდა მოამზადოს და განიხილოს წინადადებები იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება სამუშაოთა რომელიმე მონაწილის მიერ ზემოაღნიშნული მოვლენებისა და გარემოებების ზემოქმედების თავიდან აცილება ან შერბილება და ხელი უნდა შეუწყოს პროექტის მენეჯერის შესაბამისი განკარგულებების განხორციელებას.

დ. ხარისხის კონტროლი

41. დეფექტების გამოვლენა

41.1 პროექტის მენეჯერმა უნდა შეამოწმოს კონტრაქტორის მუშაობა და შეატყობინოს მას ყველა აღმოჩენილი დეფექტის შესახებ. ამგვარი შემოწმება არ ახდენს გავლენას კონტრაქტორის მოვალეობებზე. პროექტის მენეჯერს შეუძლია მისცეს კონტრაქტორს მითითება გამოავლინოს დეფექტი, გახსნას და

გამოსცადოს ობიექტის ნებისმიერი ნაწილი, რომელსაც პროექტის მენეჯერის აზრით რაიმე დეფექტი აქვს.

42. გამოცდა

42.1 თუ პროექტის მენეჯერი მისცემს ინსტრუქციას კონტრაქტორს ჩაატაროს გამოცდა, რომელიც არ არის სპეციფიკაციებში აღნიშნული, რათა შეამოწმოს არის თუ არა სამუშაოებში დაშვებული დეფექტი და თუ გამოცდა აჩვენებს რომ დეფექტი არსებობს, კონტრაქტორმა უნდა გადაიხადოს გამოცდისა და ნებისმიერი ნიმუშების ხარჯები. თუ დეფექტი არ იქნა აღმოჩენილი, გამოცდა ჩაითვლება საკომპენსაციო გარემოებად.

43. დეფექტების გასწორება

43.1 პროექტის მენეჯერმა უნდა აცნობოს კონტრაქტორს ნებისმიერი დეფექტის შესახებ დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის დამთავრებამდე, რომელიც იწყება ობიექტის დასრულების შემდეგ და დადგენილია **კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში.** დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი გაგრძელდება მანამ, სანამ დარჩება გასასწორებელი დეფექტები.

43.2 ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც კონტრაქტორი პროექტის მენეჯერისაგან მიიღებს შეტყობინებას დეფექტების შესახებ, ის ვალდებულია გაასწოროს ეს დეფექტები იმ ვადაში, რომელიც პროექტის მენეჯერის შეტყობინებაშია აღნიშნული.

44. გაუსწორებელი დეფექტები

44.1 იმ შემთხვევაში თუ კონტრაქტორი არ გაასწორებს დეფექტებს პროექტის მენეჯერის შეტყობინებაში აღნიშნულ პერიოდის განმავლობაში, პროექტის მენეჯერმა უნდა შეაფასოს დეფექტების გასწორების ღირებულება და კონტრაქტორმა უნდა გადაიხადოს იგი.

ე. ხარჯების კონტროლი

45. კონტრაქტის ფასი

45.1 აზომვითი კონტრაქტის შემთხვევაში სამუშაოთა მოცულობების უწყისი უნდა შეიცავდეს კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი სამუშაოების განფასებულ პუნქტებს. სამუშაოთა მოცულობების უწყისი გამოიყენება კონტრაქტის ფასის გასაანგარიშებლად. კონტრაქტორისათვის გადახდა განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიხედვით, სამუშაოთა მოცულობების უწყისში

თითოეულ პუნქტზე მითითებული ერთეული განფასებების საფუძველზე.

45.2 ფიქსირებული გადახდების კონტრაქტის შემთხვევაში საქმიანობების გრაკის უნდა შეიცავდეს კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების განფასებულ საქმიანობებს. საქმიანობების გრაფიკი გამოიყენება საქმიანობების შესრულების მონიტორინგისა და კონტროლისთვის, რის საფუძველზეც განხორციელდება გადახდები კონტრაქტორისთვის. თუკი მასალები ობიექტზე ცალკე უნდა ანაზღაურდეს, კონტრაქტორმა საქმიანობების გრაფიკში ცალკე უნდა ასახოს მასალების მიწოდება ობიექტზე.

46. კონტრაქტის ფასის ცვლილებები

46.1 აზომვითი კონტრაქტის შემთხვევაში:

(ა) თუ შესრულებული სამუშაოების საბოლოო მოცულობები 25-ზე მეტი პროცენტით განსხვავდება სამუშაოთა მოცულობების უწყისში კონკრეტული პუნქტისათვის მითითებული მოცულობისაგან და ეს სხვაობა კონტრაქტის საწყისი ფასის 1%-ს აღემატება, პროექტის მენეჯერმა უნდა მოახდინოს ფასის კორექტირება ამ ცვლილების გათვალისწინებით.

(ბ) თუ კონტრაქტის საწყისი ფასი 15%-ზე მეტი ოდენობით არის გადაჭარბებული, პროექტის მენეჯერს შეუძლია მოცულობათა ცვლილების გათვალისწინებით განფასებების კორექტირება მხოლოდ დამკვეთის წინასწარი თანხმობის საფუძველზე.

(გ) კონტრაქტის მენეჯერის მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში კონტრაქტორმა მას უნდა წარუდგინოს სამუშაოთა მოცულობების უწყისში მითითებული ნებისმიერი ერთეული განფასების დეტალური გაწერა.

46.2 ფიქსირებული გადახდების კონტრაქტის შემთხვევაში, კონტრაქტორმა უნდა განაახლოს საქმიანობების გრაფიკი, რათა ასახოს კონტრაქტორის დისკრეციით სამუშაოების პროგრამაში ან მეთოდოლოგიაში შეტანილი ცვლილებები. საქმიანობების გრაფიკის ამგვარი ცვლილებების შემთხვევაში საქმიანობების გრაფიკში ფასები არ უნდა შეიცვალოს.

47. ვარიაციები

47.1 ყველა ცვლილება შეტანილი უნდა იქნას კონტრაქტორის მიერ მომზადებულ განახლებულ პროგრამაში, და, ფიქსირებული გადახდების კონტრაქტის შემთხვევაში, ასევე საქმიანობების გრაფიკში.

47.2 კონტრაქტის მენეჯერის მოთხოვნის საფუძველზე, კონტრაქტორმა უნდა წარუდგინოს მას ცვლილების განფასება. კონტრაქტორმა ასევე უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია გარემოს დაცვის და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებულ რისკებზე და ცვლილების შედეგად გამოწვეულ ზემოქმედებაზე. პროექტის მენეჯერი შეაფასებს ამ განფასებას, რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნას კონტრაქტის მენეჯერის შესაბამისი მოთხოვნიდან შვიდი (7) დღის განმავლობაში ან პროექტის მენეჯერის მიერ დადგენილი უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და ცვლილების შესახებ განკარგულების გაცემამდე.

47.3 თუ კონტრაქტორი წარმოადგენს დაუსაბუთებელ განფასებას, პროექტის მენეჯერს შეუძლია გასცეს განკარგულება ცვლილების შესახებ და ამ ცვლილებით კონტრაქტორის ხარჯებზე ზემოქმედების შესახებ საკუთარი პროგნოზის საფუძველზე შეცვალოს კონტრაქტის ფასი.

47.4 თუ პროექტის მენეჯერი გადაწყვეტს, რომ ცვლილების სასწრაფო აუცილებლობის გამო შეუძლებელია განფასების წარდგენა და განხილვა სამუშაოების დაყოვნების გარეშე, განფასება არ იქნება წარდგენილი და ცვლილება მიჩნეული იქნება საკომპენსაციო გარემოებად.

47.5 კონტრაქტორი ვერ მიიღებს დამატებით ანაზღაურებას იმ ხარჯებისათვის, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იყო კონტრაქტორის მხრიდან დროული გაფრთხილების შემთხვევაში.

47.6 თუ ცვლილებით გათვალისწინებული სამუშაოები შეესაბამება სამუშაოთა მოცულობის უწყისში მოცემულ სამუშაოთა რომელიმე პუნქტს და პროექტის მენეჯერის აზრით, სამუშაოთა იმ მოცულობის განხორციელება, რომელიც აღემატება **„კონტრაქტის ზოგადი პირობების“** 46.1 ქვე-პარაგრაფში [კონტრაქტის ფასის ცვლილებები] აღნიშნულ ზღვრულ ოდენობას ან მისი განხორციელების ვადები არ გამოიწვევს ერთეული განფასების ზრდას, ცვლილების ღირებულების გასაანგარიშებლად გამოყენებული უნდა იქნას სამუშაოთა მოცულობის უწყისში მითითებული ერთეული განფასება. თუ ერთული განფასება იცვლება ან შესწორებით გათვალისწინებული სამუშაოების ხასიათი და განხორციელების ვადები არ შეესაბამება სამუშაოთა მოცულობების უწყისის პუნქტებს, კონტრაქტორის მიერ ცვლილების განფასება

სამუშაოთა შესაბამისი სახეობების ახალ ერთეულ განფასებებს უნდა დაეფუძნოს.

48. ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზი

48.1 თუ მოხდება სამუშაოთა პროგრამის, ან საქმიანობების გრაფიკის (ფიქსირებული გადახდების კონტრაქტში) განახლება, კონტრაქტორმა პროექტის მენეჯერს უნდა წარუდგინოს ფულადი სახსრების მოძრაობის განახლებული პროგნოზი.

49. გადახდის სერთიფიკატები

49.1 კონტრაქტორმა ყოველთვიურად უნდა წარუდგინოს კონტრაქტის მენეჯერს შესრულებული სამუშაოების ღირებულების შეფასების ანგარიშები იმ საერთო თანხის გამოკლებით, რომელიც ადრე იქნა სერტიფიკატებით დამოწმებული.

49.2 პროექტის მენეჯერმა უნდა შეამოწმოს კონტრაქტორის ყოველთვიური ანგარიშები და სერტიფიკატით დაამოწმოს კონტრაქტორისათვის გადასახდელი თანხა.

49.3 შესრულებული სამუშაოების ღირებულებას პროექტის მენეჯერი განსაზღვრავს.

49.4 შესრულებული სამუშაოს ღირებულება უნდა მოიცავდეს:

(ა) აზომვით კონტრაქტში, სამუშაოთა მოცულობების უწყისში მითითებულ იმ სამუშაოების ღირებულებას, რომლებიც შესრულებული იქნა; ან

(ბ) ფიქსირებული გადახდების კონტრაქტში, შესრულებული სამუშაოების ღირებულება მოიცავს საქმიანობების გრაფიკის მიხედვით შესრულებული აქტივობების ღირებულებას.

49.5 შესრულებული სამუშაოების ღირებულება უნდა მოიცავდეს ცვლილებებისა და საკომპენსაციო გარემოებების ღირებულებას.

49.6 მოგვიანებით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, პროექტის მენეჯერს აქვს უფლება ამოიღოს წინა სერტიფიკატით დამოწმებული ნებისმიერი სამუშაო ან შეამციროს ნებისმიერი სამუშაოს ხვედრითი წილი, რომელიც ადრე იქნა სერტიფიკატით დამოწმებული.

50. გადახდები

50.1 გადახდები უნდა დაკორექტირდეს ავანსისა და დაკავებული თანხების გამოქვითვის გზით. დამკვეთი კონტრაქტორს გადაუხდის პროექტის მენეჯერის მიერ სერტიფიკატით დამოწმებულ თანხებს ყოველი სერტიფიკატის გაცემის თარიღიდან 28 დღის განმავლობაში. დამკვეთის მიერ გადახდის დაგვიანების შემთხვევაში, კონტრაქტორი დაგვიანებაზე დარიცხულ პროცენტს მიიღებს შემდეგ გადახდასთან ერთად.

აღნიშნული პროცენტი გაანგარიშდება იმ თარიღიდან, როდესაც გადახდა უნდა განხორციელებულიყო, დაგვიანებული გადახდის განხორციელების თარიღამდე. პროცენტი დაანგარიშებული უნდა იქნას კომერციულ სესხებზე არსებული განაკვეთების საფუძველზე თითოეული იმ ვალუტისათვის, რომელშიც ხორციელდება გადახდა.

50.2 თუ სერტიფიკატით დამოწმებული თანხა გაიზრდება შემდგომ სერტიფიკატში ან მომრიგებლის ან არბიტრის გადაწყვეტილების შესაბამისად, კონტრაქტორმა უნდა მიიღოს დაგვიანებული გადახდის პროცენტი, როგორც წინამდებარე დებულებაშია განსაზღვრული. პროცენტი უნდა გაანგარიშდეს იმ თარიღიდან, როდესაც გაზრდილი თანხა სერტიფიკატით უნდა ყოფილიყო დამოწმებული დავის არარსებობის შემთხვევაში.

50.3 თუ არ არსებობს სხვაგვარი მითითება, ყველა გადახდა და დაქვითვა უნდა განხორციელდეს დამკვეთის ეროვნულ ვალუტაში, რომელიც კონტრაქტის ფასშია წარმოდგენილი.

50.4 სამუშაოთა ის მუხლები, რომლებისთვისაც არ არის მითითებული ერთეული განფასება ან ფასი, არ ანაზღაურდება დამკვეთის მიერ და მიჩნეული იქნება, რომ ისინი სხვა ერთეული განფასებებისა და ფასების ხარჯზე დაიფარება.

51. საკომპენსაციო გარემოებები

51.1 საკომპენსაციო გარემოებად ითვლება შემდეგი:

(ა) დამკვეთი არ იძლევა ობიექტის ტერიტორიის რაიმე ნაწილში შესვლის საშუალებას ტერიტორიის გადაცემის თარიღისათვის „კონტრაქტის ზოგადი პირობების“ 26.1 ქვე-პარაგრაფის [26. ობიექტის ტერიტორიის გადაცემა] შესაბამისად;

(ბ) დამკვეთი იმგვარად ცვლის სხვა კონტრაქტორების გრაფიკებს, რომ ეს გავლენას ახდენს კონტრაქტორის სამუშაოებზე მოცემული კონტრაქტის ფარგლებში;

(გ) პროექტის მენეჯერი გასცემს მითითებას სამუშაოთა დაყოვნებაზე, ან ვერ უზრუნველყოფს კონტრაქტორს საჭირო ნახაზებით, სპეციფიკაციებით ან ინსტრუქციებით, რომლებიც აუცილებელია სამუშაოს დროული შესრულებისათვის;

(დ) პროექტის მენეჯერი აძლევს მითითებას კონტრაქტორს გამოავლინოს დეფექტები ან ჩაატაროს დამატებითი

გამოცდები და აღმოჩნდება, რომ ამ სამუშაოებს დეფექტი არ გააჩნდა;

(ე) პროექტის მენეჯერი უსაფუძვლოდ არ იძლევა ქვეკონტრაქტორის აყვანის ნებართვას;

(ვ) გრუნტის პირობები აღმოჩნდა არსებითად უფრო არასახარბიელო ვიდრე ეს გამომდინარეობდა მიღების წერილის გაგზავნამდე პრეტენდენტისთვის მიწოდებული ინფორმაციიდან (ობიექტის შესწავლის ანგარიშების ჩათვლით), ან საჯაროდ ცნობილი ინფორმაციიდან და სამშენებლო მოედნის ვიზუალური ინსპექტირებიდან;

(ზ) პროექტის ხელმძღვანელი გასცემს მითითებას დამკვეთის მიზეზით გამოწვეული გაუთვალისწინებელი გარემოების მოგვარების შესახებ, ან უსაფრთხოების ან სხვა მიზნისათვის აუცილებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების შესახებ;

(თ) სხვა კონტრაქტორები, საზოგადოებრივი დაწესებულებები, კომუნალური სამსახურები, ან დამკვეთი არ მუშაობენ კონტრაქტში აღნიშნული თარიღების და სხვა მითითებულ ვადების ფარგლებში, რაც იწვევს შეყოვნებას ან დამატებით ხარჯს კონტრაქტორისთვის.

(ი) გვიანდება საავანსო გადახდა;

(კ) დამკვეთის ნებისმიერი რისკის ზემოქმედება კონტრაქტორზე;

(ლ) კონტრაქტის მენეჯერი უსაფუძვლოდ აყოვნებს დასრულების სერთიფიკატის გაცემას.

51.2 თუ საკომპენსაციო გარემობა გამოიწვევს დამატებით ხარჯს ან ხელს შეუშლის ობიექტის დამთავრებას ობიექტის დასრულების დაგეგმილი თარიღისათვის, კონტრაქტის ფასი უნდა გაიზარდოს და./ან უნდა გაგრძელდეს ობიექტის დასრულების დაგეგმილი თარიღი. პროექტის მენეჯერმა უნდა გადაწყვიტოს გაიზრდება თუ არა და რამდენით გაიზრდება კონტრაქტის ფასი და გაგრძელდება თუ არა და რამდენით გაგრძელდება ობიექტის დასრულების დაგეგმილი თარიღი.

51.3 როგორც კი კონტრაქტორი წარმოადგენს ინფორმაციას კონტრაქტორის ხარჯებზე, საკომპენსაციო გარემოების ზეგავლენის შესახებ, პროექტის მენეჯერმა უნდა შეაფასოს

აღნიშნული ინფორმაცია და ამის შესაბამისად დააკორექტიროს კონტრაქტის ფასი. თუ კონტრაქტორის პროგნოზი უსაფუძვლოდ იქნება მიჩნეული, პროექტის მენეჯერმა უნდა დააკორექტიროს კონტრაქტის ფასი საკუთარი პროგნოზის საფუძველზე. პროექტის მენეჯერმა უნდა ივარაუდოს, რომ კონტრაქტორი კომპეტენტურ და დროულ რეაგირებას მოახდენს ამ გარემოებაზე.

51.4 კონტრაქტორს არა აქვს კომპენსაციის მიღების უფლება იმ შემთხვევაში, რამდენადაც შეილახა დამკვეთის ინტერესები იმის გამო, რომ კონტრაქტორმა ვერ უზრუნველყო დროული გაფრთხილება ან არ ითანამშრომლა პროექტის მენეჯერთან.

52. გადასახადები

52.1 პროექტის მენეჯერმა უნდა გააკორექტიროს კონტრაქტის ფასი თუ გადასახადები, საბაჟო გადასახადები და სხვა მოსაკრებლები შეიცვლება იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება სატენდერო წინადადებების წარდგენამდე 28 დღით ადრე თარიღიდან და მთავრდება ობიექტის დასრულების ბოლო სერტიფიკატის თარიღით. კორექტირება ასახავს კონტრაქტორის მიერ გადასახდელი გადასახადების თანხის ცვლილებას იმ პირობით, თუ ამგვარი ცვლილება უკვე არ არის ასახული კონტრაქტის ფასში ან წარმოადგენს **„კონტრაქტის ზოგადი პირობების“** 54.1-ე პარაგრაფის [ფასის კორექტირება] შესაბამისად.

53. ვალუტები

53.1 თუკი გადახდები ხორციელდება ვალუტებში გარდა **„კონტრაქტის კონკრეტული პირობებში“** მითითებული დამკვეთის ქვეყნის ვალუტისა, გადასახდელი თანხის დასაანგარიშებლად გამოყენებული გაცვლითი კურსი უნდა იყოს კონტრაქტორის სატენდერო წინადადებაში მითთებული გაცვლითი კურსი.

54. ფასის კორექტირება

54.1 რესურსების ხარჯებში მომხდარი ცვლილებების მიხედვით ფასების კორექტირება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას ითვალისწინებს **„კონტრაქტის კონკრეტული პირობები“.** ამგვარი დებულების არსებობის შემთხვევაში, გადახდის თითეულ სერთიფიკატში დამოწმებული თანხა უნდა გაკორექტირდეს საავანსო გადახდის გამოქვითვამდე შესაბამისი კოეფიციენტის გამოყენებით გადასახდელი თანხების მიმართ:

$$P_c = A_c + B_c \, Imc/Ioc$$

სადაც:

P_c არის კორექტირების კოეფიციენტი, საკონტრაქტო ფასის კონკრეტულ ვალუტაში „c“ გადასახდელი ნაწილისთვის.

A_c და **B_c** არის „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“ მითითებული კოეფიციენტები*, რომლებიც შესაბამისად აღნიშნავენ კონკრეტულ „c“ ვალუტაში გადასახდელი საკონტრაქტო ფასის არაკორექტირებად და კორექტირებად ნაწილებს;

Imc წარმოადგენს თვის ბოლოს პრევალირებად ინდექსს, რომელზეც იწერება ინვოისი, ხოლო **Ioc** არის სატენდერო წინადადების გახსნამდე 28 დღის ადრე, გადასახდელი ხარჯებისთვის პრევალირებადი ინდექსი; ორივე კონკრეტულ ვალუტაში „c“.

54.2 თუ ინდექსის სიდიდე შეიცვლება მისი გაანგარიშებებში გამოყენების შემდეგ, გაანგარიშება უნდა გაკორექტირდეს და ეს კორექტირება შეტანილი უნდა იქნას გადახდის შემდეგ სერტიფიკატში. ინდექსის სიდიდეში გათვალისწინებული უნდა იყოს ფასების მერყეობის შედეგად ხარჯებში მომხდარი ყველა ცვლილება.

* ორი კოეფიციენტის (Ac და Bc) ჯამი ფორმულაში უნდა იყოს 1 (ერთი) თითოეული ვალუტისთვის. ჩვეულებრივ, ორივე კოეფიციენტი ყველა ვალუტის ფორმულაში ერთიდაიგივე უნდა იყოს, რადგან კოეფიციენტი A - გადასახდელი თანხების არაკორექტირებადი ნაწილთან მიმართებაში, მეტად მიახლოებულ ციფრს წარმოადგენს (ჩვეულებრივ: 0.10 ~ 0.20), ფიქსირებული ღირებულების კატეგორიების, ან სხვა არაკორექტირებადი კომპონენტების გათვალისწინებით. თითოეულ ვალუტაში კორექტირების თანხა დაემატება კონტრაქტის ღირებულებას.

55. დაკავება

55.1 დამკვეთი თითოეული გადახდიდან დაუკავებს კონტრაქტორს „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“ მითითებულ ოდენობას, ობიექტის მთლიანად დასრულებამდე.

55.2 პროექტის მენეჯერის მიერ ობიექტის დასრულების სერთიფიკატის გამოცემის შემდეგ, „კონტრაქტის ზოგადი პირობების“ 55.1 ქვე-პარაგრაფის შესაბამისად, კონტრაქტორს დაუბრუნდება დაკავებული თანხის ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი დაუბრუნდება დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის გასვლის შემდეგ, როდესაც პროექტის მენეჯერი სერტიფიკატით დაამოწმებს, რომ კონტრაქტორმა გაასწორა მის

მიერ მითითებული ყველა დეფექტი დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის დასრულებამდე. კონტრაქტორს შეუძლია დაკავებული თანხები შეცვალოს „მოთხოვნითი" საბანკო გარანტიით.

56. ლიკვიდირებული ზიანი

56.1 კონტრაქტორმა დამკვეთს უნდა გადაუხადოს ლიკვიდირებული ზიანი **„კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში"** მითითებული განაკვეთის შესაბამისად ყოველ დღეზე, რამდენი დღითაც დასრულების თარიღი სცდება დასრულების დაგეგმილ თარიღს. ლიკვიდირებული ზიანის მთლიანი თანხა არ უნდა აღემატებოდეს **„კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში"** განსაზღვრულ ოდენობას. დამკვეთს შეუძლია დაუკავოს კონტრაქტორს ლიკვიდირებული ზიანი მისთვის კუთვნილი გადახდიდან. ლიკვიდირებული ზიანის გადახდა არ ახდენს გავლენას კონტრაქტორის ვალდებულებებზე.

56.2 თუ ობიექტის დასრულების დაგეგმილი თარიღი გაგრძელებული იქნა მას შემდეგ, რაც უკვე გადახდილი იქნა ობიექტის დასრულების ვადის გადაცილებისათვის დაწესებული ლიკვიდირებული ზიანი, პროექტის მენეჯერმა უნდა აანაზღაუროს კონტრაქტორის მიერ ზედმეტად გადახდილი ლიკვიდირებული ზიანი შემდეგი გადახდის სერტიფიკატში შესაბამისი ცვლილების შეტანის გზით. ზედმეტად გადახდილი ლიკვიდირებული ზიანისთვის კონტრაქტორს უნდა გადაეხადოს პროცენტები. ეს პროცენტები გაანგარიშდება იმ პერიოდისათვის, რომელიც იწყება ლიკვიდირებული ზიანის გადახდის თარიღიდან და სრულდება მისი ანაზღაურების თარიღით, „კონტრაქტის ზოგადი პირობების" 50.1 ქვე-პარაგრაფში [გადახდები] მითითებული განაკვეთის შესაბამისად.

57. ბონუსი

57.1 კონტრაქტორს უნდა გადაუხადონ ბონუსს ობიექტის დადგენილ ვადაზე ადრე დასრულების ყოველი დღისათვის, (გარდა იმ დღეებისა, რომლებზედაც მას გადაუხადეს დაჩქარებისათვის) **„კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში"** მითითებული განაკვეთის შესაბამისად. პროექტის მენეჯერმა სერთიფიკატით უნდა დაამოწმოს, რომ სამუშაოები დასრულებულია, თუმცა ჯერ არ დამდგარა მათი დასრულების დაგეგმილი თარიღი.

58. საავანსო გადახდა

58.1 დამკვეთმა კონტრაქტორს უნდა გადაუხადოს ავანსი იმ ოდენობით და იმ თარიღზე, რომელიც მითითებულია

„კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“, კონტრაქტორის მიერ უპირობო საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე, რომელიც გაცემული უნდა იყოს დამკვეთისათვის მისაღები ფორმით და დამკვეთისათვის მისაღები ბანკის მიერ ავანსის თანხის ოდენობით და ავანსის ვალუტებში. გარანტია ძალაში უნდა დარჩეს მანამდე, სანამ მოხდება ავანსის ანაზღაურება, ხოლო გარანტიის თანხა პროგრესულად შემცირდება კონტრაქტორის მიერ გადახდილი თანხების ოდენობის შესაბამისად. საავანსო გადახდაზე პროცენტი არ დაირიცხება.

58.2 კონტრაქტორმა ავანსის თანხა უნდა გამოიყენოს აღჭურვილობის, მოწყობილობების, მასალების, და მობილიზაციის მხოლოდ იმ ხარჯებისათვის, რომლებიც საჭიროა ამ კონკრეტული კონტრაქტის შესრულებისათვის. პროექტის მენეჯერისათვის ანგარიშ-ფაქტურების და სხვა დოკუმენტების ასლების წარდგენის საშუალებით კონტრაქტორმა უნდა აჩვენოს, რომ საავანსო გადახდა აღნიშნული მიზნებისათვის იყო გამოყენებული.

58.3 ავანსის თანხები ანაზღაურებული უნდა იქნას კონტრაქტორისათვის განკუთვნილი გადახდებიდან პროპორციული თანხების დაქვითვით, გადახდის საფუძველზე ობიექტის გარკვეული პროცენტული ოდენობების დასრულების გრაფიკის მიხედვით. შესრულებული სამუშაოების ღირებულების, შესწორებების, ფასების კორექტირების, საკომპენსაციო გარემოებების, ბონუსების და ლიკვიდირებული ზიანის განსაზღვრისას ავანსის თანხა და მისი ანაზღაურება არ უნდა იქნას გათვალისწინებული.

59. გარანტიები

59.1 დამკვეთს უნდა წარედგინოს კონტრაქტის შესრულების გარანტია არაუგვიანეს იმ თარიღისა, რომელიც მითითებულია „მიღების წერილში“. აღნიშნული გარანტია გაცემული უნდა იქნას **„კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“** აღნიშნულ თანხაზე, იმ ფორმით, დამკვეთისათვის მისაღები ბანკის მიერ იმავე ვალუტებსა და პროპორციებში, რომელშიც კონტრაქტის ფასი უნდა იქნას გადახდილი. საბანკო გარანტიის შემთხვევაში კონტრაქტის შესრულების გარანტია ძალაში რჩება ობიექტის დასრულების სერტიფიკატის გამოშვების თარიღიდან 28 დღის განმავლობაში.

60. დღიური სამუშაოები

60.1 იმ შემთხვევაში, თუ წარმოიქმნება დამატებითი სამუშაოთა უმნიშვნელო მოცულობის შესრულების აუცილებლობა, პროექტის მენეჯერს შეუძლია წერილობით მიიღოს გადაწყვეტილება ამ სამუშაოების დღიური პრინციპით ანაზღაურების შესახებ კონტრაქტორის სატენდერო წინადადებაში მოცემული დღიური სამუშაოების განაკვეთების საფუძველზე.

60.2. კონტრაქტორმა პროექტის მენეჯერის მიერ დამტკიცებულ ფორმებში უნდა აღნუსხოს ყველა სამუშაო, რომელიც ანაზღაურდება დღიური განაკვეთების საფუძველზე. პროექტის მენეჯერმა უნდა შეამოწმოს და ხელი მოაწეროს ყოველ შევსებლ ფორმას სამუშაოტა დასრულების შემდეგ 2 დღის განმავლობაში.

60.3 კონტრაქტორი მიიღებს დღიური სამუშაოების ანაზღაურებას იმ პირობით, თუ მიღებული იქნება დღიური სამუშაოების ხელმოწერილი ფორმები.

61. გასწორების ხარჯები

61.1 ობიექტის დაწყების თარიღსა და დეფექტების გასწორების ვადის გასვლას შორის პერიოდში ობიექტის ან ობიექტისათვის გამოსაყენებლი მასალის დაკარგვა ან დაზიანება ანაზღაურებული უნდა იქნას კონტრაქტორის მიერ მისივე ხარჯით, თუ ეს დანაკარგი ან ზიანი წარმოადგენს კონტრაქტორის მოქმედების ან შეცდომის შედეგს.

ვ. ფორს მაჟორი

62. ფორს მაჟორის განსაზღვრება

62.1 მოცემულ მუხლში, „ფორს მაჟორი“ ნიშნავს განსაკუთრებულ მოვლენას, ან გარემოებას,

(ა) რაც არ ექვემდებარება მხარის მიერ გაკონტროლებას;

(ბ) რასაც აღნიშნული მხარე ვერ გაითვალისწინებდა შესაბამისი კონტრაქტის გაფორმებამდე;

(გ) რომელსაც წარმოქმნის შემთხვევაში, ვერ აირიდებდა, ან ვერ მოაგვარებდა აღნიშნული მხარე; და

(დ) რაც არსებითად არ უკავშირდება მეორე მხარეს.

62.2 ფორს მაჟორი შესაძლოა მოიცავდეს, მაგრამ არ არის შეზღუდული ქვემოთ მოცემული განსაკუთრებული მოვლენებისა, თუ გარემოებების ჩამონათვალით, თუ დაკმაყოფილებულია ზემოთ აღნიშნული (ა)-დან (დ) მუხლებით განსაზღვრული პირობები:

(ა) ომი, მტრობა (მიუხედავად იმისა გამოცხადებულია თუ არა ომი), უცხოელი მტრების შემოსევა, თუ ქმედება;

(ბ) აჯანყება, ტერორიზმი, საბოტაჟი იმ პირების მიერ, რომლებიც არ წარმოადგენენ კონტრაქტორის პერსონალს, ასევე რევოლუცია, ამბოხება, სამხედრო, ან უკანონოდ მიტაცებული ხელისუფლება, ან სამოქალაქო ომი;

(გ) მასობრივი არეულობა, უწესრიგობა, გაფიცვა, ან ლოკაუტი (ბლოკირება) იმ პირების მიერ, რომლებიც არ წარმოადგენენ კონტრაქტორის პერსონალს;

(დ) საბრძოლო მასალა, ფეთქებადი მასალები, მაიონიზირებელი რადიაცია, ან რადიო-აქტიურობით განპირობებული დაბინძურება, იმ გამონაკლისების გარდა, რასაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს კონტრაქტორის მიერ ასეთი სამხედრო საქონლის, ასაფეთქებლების, რადიაციის ან რადიო-აქტიურობის გამოყენების პროცესში; და

(ე) ბუნებრივი კატასტროფები, როგორიც არის მაგ. მიწისძვრა, ქარიშხალი, ტაიფუნი, ელვა, ან ვულკანური ქმედებები.

63. შეტყობინება ფორს მაჟორის შესახებ

63.1 იმ შემთხვევაში, თუ მხარე ვერ ასრულებს აღნიშნული კონტრაქტით გათვალისწინებულ ძირითად მოვალეობებს ფორს მაჟორული მდგომარეობის გამო, აღნიშნულმა მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს იმ გარემოების, ან პირობის შესახებ, რომელიც ქმნის ფორს მაჟორს და აღნიშნულ შეტყობინებაში უნდა დააზუსტოს ის მოვალეობები, რომელთა შესრულებას ის ვერ ახერხებს, ან ვერ მოახერხებს, აღნიშნული მიზეზით. ხსენებული შეტყობინების გაგზავნა მოხდება ფორს მაჟორული

მოვლენის, ან გარემოების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან (ან როცა უნდა იყოს მიღებული აღნიშნული ინფორმაცია) 14 დღეში.

63.2 შეტყობინების გამგზავნ მხარეს ეპატიება მასზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობა იმდენი ხნით, რამდენი ხნითაც ის ვერ ახერხებს მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას, ფორს მაჟორის გამო.

63.3 მოცემული მუხლის სხვა დებულებების მიუხედავად, ფორს მაჟორი არ მოახდენს ზემოქმედებას რომელიმე მხარის მიერ მეორე მხარისთვის აღნიშნული კონტრაქტით განსაზღვრული გადახდის ვალდებულებაზე.

64. დაყოვნების მინიმუმამდე შემცირების ვალდებულება

64.1 თითოეულმა მხარემ ყოველთვის უნდა გამოიყენოს ყველა საშუალება იმისთვის, რომ მინიმუმამდე შეამციროს ხელშეკრულების შესრულების დაყოვნება ფორს მაჟორული მიზეზით.

64.2 მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს, როდესაც ფორს მაჟორული მდგომარეობის ზემოქმედება შეწყდება მასზე.

65. ფორს მაჟორის შედეგები

65.1 თუ კონტრაქტორი ვერ ასრულებს კონტრაქტით მასზე დაკისრებულ ძირითად მოვალეობებს ფორს მაჟორული მდგომარეობის გამო, რის შესახებაც შეტყობინება გაგზავნილია კონტრაქტის ზოგადი პირობების 63-ე ქვემუხლის შესაბამისად [შეტყობინება ფორს მაჟორის შესახებ], და ის აგვიანებს და/ან მის მიერ ხდება ხარჯების გაწევა აღნიშნული ფორს მაჟორული მდგომარეობის გამო, კონტრაქტის ზოგადი პირობების 30.1 ქვემუხლის [დავების მოგვარების პროცედურა] შესაბამისად, კონტრაქტორს ენიჭება უფლება:

(ა) ვადის გადაწევაზე - აღნიშნული დაყოვნების გამო, თუ (სამუშაოების) დასრულება შეჩერებულია, ან შეჩერდება, კონტრაქტის ზოგადი პირობების 36-ე

ქვემუხლის 36 [დასრულების დაგეგმილი ვადის გადაწევა] შესაბამისად; და

(ბ) ანაზღაურების მიღებაზე - თუ მოვლენა, ან გარემოება კონტრაქტის ზოგადი პირობების 62.2 ქვემუხლის [ფორს მაჟორის განსაზღვრება] (ა)-დან (დ) ქვეპარაგრაფებით განსაზღვრულ მოვლენას, ან გარემოებას წარმოადგენს, და იმ შემთხვევაში, თუ (ა)-დან (დ) ქვეპარაგრაფებში ასახული მოვლენა, ან გარემოება ხდება ქვეყანაში; აღნიშნულ ანაზღაურებაში იგულისხმება სამუშაოების ფორს მაჟორით განპირობებული გამოსწორების ან ჩანაცვლების და/ან დაზიანებული, ან განადგურებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ისეთი მოცულობით, რისი დაფარვაც სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული არ არის - კონტრაქტის ზოგადი პირობების მე-19 მუხლის [დაზღვევა] შესაბამისად.

65.2 აღნიშნული შეტყობინების მიღების შემდეგ, პროექტის მენეჯერმა უნდა იმოქმედოს კონტრაქტის ზოგადი პირობების მე-19 ქვეპუნქტის [პროექტის მენეჯერის გადაწყვეტილებები] შესაბამისად, ხსენებული საკითხების შეთანხმების, ან განსაზღვრის მიზნით.

66. ფორს მაჟორის ზემოქმედება ქვეკონტრაქტორზე

66.1 თუ რომელიმე ქვეკონტრაქტორი სამუშაოებთან დაკავშირებული რომელიმე კონტრაქტით, ან შეთანხმებით, გათავისუფლებულია ფორს მაჟორული (მდგომარეობისგან) დამატებითი, ან გაფართოებული პირობებით, რაც არ არის განსაზღვრული მოცემული მუხლით, აღნიშნული დამატებითი, ან გაფართოებული ფორს მაჟორული გარემოებები, ან მოვლენები, არ ამართლებს კონტრაქტორის მიერ (შესაბამისი მოვალეობების) შეუსრულებლობას და არც მოცემული ქვემუხლის (პასუხისმგებლობისგან) ათავისუფლებს მას.

67. პირობითი (არასავალდებულო) შეწყვეტა, გადახდა და

67.1 თუ მიმდინარე სამუშაოების ძირითადი ნაწილის განხორციელება შეფერხებულია უწყვეტად 84 დღის განმავლობაში, ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო, რის შესახებაც შეტყობინება გაიცა კონტრაქტის ზოგადი პირობების 63-ე ქვემუხლის [შეტყობინება ფორს მაჟორის შესახებ] შესაბამისად, ან თუ ანალოგიური ხასიათის

გათავისუფლე ბა

სხვადასხვა პერიოდების ჯამი აღემატება 140 დღეს, რაზეც ასევე გაცემულია შესაბამისი შეტყობინება ფორს მაჟორული მიზეზით, ერთ-ერთ მხარეს შეუძლია შეატყობინოს მეორე მხარეს კონტრაქტის შეწყვეტის შესახებ. აღნიშნულ შემთხვევაში, (კონტრაქტის) შეწყვეტა ამოქმედდება შესაბამისი შეტყობინების გაცემიდან შვიდი (7) დღის ვადაში, კონტრაქტორმა უნდა გააგრძელოს მოქმედება, კონტრაქტის ზოგადი პირობების 73.5 ქვემუხლის [შეწყვეტა] მიხედვით.

67.2 აღნიშნული შეწყვეტის შემდეგ, პროექტის მენეჯერი განსაზღვრავს შესრულებული სამუშაოების ღირებულებას და გამოსცემს გადახდის სერტიფიკატს, რომელშიც გათვალისწინებული იქნება:

(ა) შესრულებული სამუშაოებისთვის გადასახდელი თანხები, რომელთა ფასი მოცემულია კონტრაქტში;

(ბ) სამუშაოებთან დაკავშირებით შეკვეთილი და კონტრაქტორისთვის მიწოდებული, ან მისაწოდებელი დანადგარების და მასალების ღირებულება. აღნიშნული დანადგარები და მასალები დამკვეთის საკუთრებაში (და მისივე პასუხისმგებლობის ქვეშ) გადავა დამკვეთის მიერ შესაბამისი გადახდის განხორციელების შემდეგ. კონტრაქტორის ვალდებულებას აღნიშნული (დანადგარების და მასალების) დამკვეთის განკარგულებაში გადაცემა წარმოადგენს;

(გ) შექმნილი გარემოებების გამო და სამუშაოების დასრულების მიზნით კონტრაქტორის მიერ რაციონალურად და საჭიროებისამებრ გაწეული სხვა ხარჯები, თუ აღებული (სასესხო) ვალდებულებები;

(დ) დროებითი სამუშაოების ამოღების და კონტრაქტორის აღჭურვილობის ობიექტიდან გატანის და მათი კონტრაქტორის სამუშაო განკარგულებაში - მის ქვეყანაში (ან სხვა დანიშნულების ადგილას, რა შემთხვევაშიც ფასმა არ უნდა გადააჭარბოს თვითღირებულებას) დაბრუნების ღირებულება; და

(ე) კონტრაქტორის პერსონალის და სამუშაოებში სრული განაკვეთით ჩართული მუშახელის

რეპატრიაციის ღირებულება, (კონტრაქტის) შეწყვეტის დროისთვის.

68. შესრულებისგან გათავისუფლება

68.1 აღნიშნული მუხლის სხვა რეგულაციების მიუხედავად, იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერი სახის მოვლენა, ან გარემოება (მათ შორის ფორს მაჟორი, მაგრამ არა მხოლოდ), რომელიც არ ექვემდებარება მხარეების მიერ გაკონტროლებას, მოხდება ისე, რომ აღნიშნული ხელს შეუშლის, ან არაკანონიერს გახდის ორივე მხარის, ან რომელიმე მხარის მიერ მათი საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულებას, ან კონტრაქტთან დაკავშირებით მოქმედი კანონი გაათავისუფლებს მათ საკონტრაქტო ვალდებულებების შემდგომი შესრულებისგან, ერთი მხარე შეატყობინებს მეორე მხარეს აღნიშნული მოვლენის, ან გარემოების შესახებ და:

(ა) მხარეები გათავისუფლდებიან მოვალეობების შემდგომი შესრულების ვალდებულებისაგან, რომელიმე მხარის უფლებების დაზარალების გარეშე, რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს კოტნრაქტის რომელიმე რეგულაციის დარღვევას, რასაც ადგილი ჰქონდა მანამდე; და

(ბ) დამკვეთის მიერ კონტრაქტორისთვის ასანაზღაურებელი თანხის მოცულობა იქნება იგივე (თანხა), რაც განსაზღვრულია კონტრაქტის ზოგადი პირობების 67-ე ქვემუხლით [არასავალდებულო დასრულება, გადახდა და გათავისუფლება], იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტის მოქმედება შეწყდება კონტრაქტის ზოგადი პირობების 67-ე ქვემუხლის მიხედვით.

ზ. კონტრაქტის დამთავრება

69. ობიექტის დასრულება

69.1 კონტრაქტორმა უნდა მოსთხოვოს პროექტის მენეჯერს ობიექტის დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემა და პროექტის მენეჯერმა უნდა გასცეს ამგვარი სერტიფიკატი, როდესაც დარწმუნდება, რომ ყველა სამუშაო დასრულებულია.

70.ობიექტის ჩაბარება

70.1 დამკვეთი ჩაიბარებს ობიექტსა და ტერიტორიას პროექტის მენეჯერის მიერ დასრულების სერტიფიკატის გამოცემიდან შვიდი დღის განმავლობაში.

71. საბოლოო ანგარიშწორება

71.1 დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის დამთავრებამდე კონტრაქტორმა უნდა წარუდგინოს პროექტის მენეჯერს დეტალური ანგარიში საერთო თანხაზე, რომელიც, კონტრაქტორის აზრით, მას ერგება კონტრაქტის მიხედვით. პროექტის მენეჯერმა უნდა გასცეს დეფექტებზე პასუხისმგებლობის სერტიფიკატი და დაამოწმოს კონტრაქტორისათვის გადასახდელი საბოლოო თანხა კონტრაქტორის ანგარიშის მიღებიდან 56 დღის განმავლობაში, თუ ეს ანგარიში სრულყოფილია და სწორი. თუ ანგარიში არასრულყოფილია ან არასწორი, პროექტის მენეჯერმა მისი მიღებიდან 56 დღის განმავლობაში უნდა წარმოადგინოს გრაფიკი, რომელშიც მითითებული იქნება საჭირო შესწორებებისა და დამატებების მოცულობები. თუ ხელმეორედ წარდგენის შემდეგ საბოლოო ანგარიში მაინც არადამაკმაყოფილებელია, პროექტის მენეჯერმა უნდა განსაზღვროს კონტრაქტორისათვის გადასახდელი თანხის ოდენობა და გასცეს გადახდის სერტიფიკატი.

72.ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის სახელმძღვანელოები

72.1 თუ საჭიროა საშემსრულებლო ნახაზების და/ან ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის სახელმძღვანელოების წარმოდგენა, კონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს ისინი **„კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“** მითითებულ ვადებში.

72.2 თუ კონტრაქტორი ვერ წარმოადგენს ნახაზებსა და/ან ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის სახელმძღვანელოებს „პროექტის კონკრეტულ პირობებში“ მითითებულ ვადებში „კონტრაქტის ზოგადი პირობების“ 72.1 ქვე-პარაგრაფის შესაბამისად, ან თუ კონტრაქტის მენეჯერი მათ არ დაამტკიცებს, პროექტის მენეჯერმა კონტრატორისათვის გადასახდელი თანხებიდან უნდა დააკავოს **„კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“** მითითებული თანხები.

73. კონტრაქტის შეწყვეტა

73.1 დამკვეთს ან კონტრაქტორს შეუძლიათ კონტრაქტის შეწყვეტა, თუ მეორე მხარე დაუშვებს კონტრაქტის არსებითი ხასიათის დარღვევას.

73.2 კონტრაქტის არსებითი ხასიათის დარღვევად ითვლება (მაგრამ მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება) შემდეგი:

(ა) კონტრაქტორი აჩერებს სამუშაოთა წარმოებას 28 დღეზე უფრო ხანგრძლივი დროით, მაშინ როდესაც ეს შეჩერება არ იყო გათვალისწინებული პროგრამაში და არ იყო ნებადართული პროექტის მენეჯერის მიერ;

(ბ) პროექტის მენეჯერი განკარგულებას მისცემს კონტრაქტორს სამუშაოთა დაყოვნების თაობაზე და არ აუქმებს განკარგულებას 28 დღის განმავლობაში;

(გ) დამკვეთი და კონტრაქტორი კოტრდება ან განიცდის ლიკვიდაციას (რეორგანიზაციისა და შერწყმის შემთხვევების გარდა);

(დ) დამკვეთი არ უხდის კონტრაქტორს პროექტის მენეჯერის მიერ სერტიფიკატით დამოწმებული გადახდის თანხას ამ სერტიფიკატის გაცემიდან 84 დღის განმავლობაში;

(ე) პროექტის მენეჯერი გამოსცემს შეტყობინებას, რომ კონკრეტული დეფექტის გაუსწორებლობა კონტრაქტის არსებითი ხასიათის დარღვევას წარმოადგენს და კონტრაქტორი ვერ შეძლებს ამ დეფექტის გასწორებას პროექტის მენეჯერის მიერ დადგენილი გონივრული დროის მონაკვეთში;

(ვ) კონტრაქტორი არ უზრუნველყოფს მოთხოვნილ გარანტიას;

(ზ) კონტრაქტორმა ობიექტის დასრულება იმდენი დღით დააგვიანა, რომ ობიექტის დასრულების ვადის გადაცილებისათვის გადასახდელმა ჯარიმამ **„კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“** განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას მიაღწია.

(თ) თუ კონტრაქტორი, დამკვეთის აზრით, გარეულია არაკეთილსინდისიერ ქმედებაში ამ კონტრაქტისთვის გამართული ტენდერის დროს ან კონტრაქტის განხორციელების დროს, „კონტრაქტის ზოგადი პირობების“ 74.1 მუხლის შესაბამისად [თაღლითობა და კორუფცია].

73.3 როდესაც კონტრაქტის რომელიმე მხარე ატყობინებს პროექტის მენეჯერს კონტრაქტის დარღვევის შესახებ იმ მიზეზით, რაც არ არის ჩამოთვლილი „კონტრაქტის ზოგადი პირობების“ 73.2

პარაგრაფში ზემოთ, პროექტის მენეჯერმა უნდა გადაწყვიტოს, არის თუ არა ის არსებითი ხასიათის დარღვევა.

73.4 ზემოაღნიშნულის მიუხედავად, დამკვეთს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ შეწყვიტოს კონტრაქტი.

73.5 კონტრაქტის შეწყვეტის შემთხვევაში, კონტრაქტორმა დაუყოვნებლივ უნდა გააჩეროს სამუშაოები, უზრუნველყოს ობიექტის ტერიტორიის უსაფრთხოება და დაცულობა და მაქსიმალურად შესაძლებელ მოკლე ვადაში დატოვოს ობიექტის ტერიტორია.

74.თაღლითობა და კორუფცია

74.1 აგბ-ის ანტიკორუფციული პოლიტიკა (1998, განახლებული დღემდე) მოითხოვს სესხის მიმღებებისგან (აგბ-ის დაფინანსებული ღონისძიებების ბენეფიციარების ჩათვლით), ასევე პრეტენდენტებისგან, მიმწოდებლებისგან, და კონტრაქტორებისგან აგბ-ის დაფინანსებული კონტრაქტების ფარგლებში, ეთიკის უმაღლესი სტანდარტების დაცვას შესყიდვების და კონტრაქტების აღსრულების დროს. აღნიშნული პოლიტიკის თანახმად, აგბ

(ა) მოცემული დებულების მიზნებისთვის, განსაზღვრავს ტერმინებს, ქვემოთ მოყვანილი სახით:

(i) "კორუფციული ქმედება" ნიშნავს რაიმე ღირებულის შეთავაზებას, მიცემას, მიღებას ან მოთხოვნას, პირდაპირ ან ირიბად, რაც ზეგავლენას მოახდენს რომელიმე მხარის მოქმედებაზე;

(ii) „თაღლითური ქმედება" ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას ან უმოქმედობას, მათ შორის გაყალბებას, რაც მხარეს შეგნებულად ან დაუდევრობით შეიყვანს შეცდომაში ან წარმოადგენს შეცდომაში შეყვანის მცდელობას, ფინანსური ან სხვა სახის სარგებელის მიღების ან ვალდებულებათა შესრულებისაგან თავის არიდების მიზნით;

(iii) „იძულება" ნიშნავს რომელიმე მხარის ან ამ მხარის საკუთრების დაზიანებას ან გაფუჭებას, ან დაზიანების და გაფუჭების მუქარას პირდაპირ ან ირიბად, რომლის მიზანია მხარის ქმედებაზე არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენა;

(iv) „წინასაწარ განზრახული მოქმედება“ ნიშნავს შეთანხმებას ორ ან მეტ მხარეს შორის, რომელიც გამიზნულია არამართლზომიერი შედეგის მისაღწევად, მათ შორის სხვა მხარის ქმედებაზე არამართლზომიერი ზემოქმედების მიღწევის მიზნით;

(v) “ზოროტად გამოყენება” ნიშნავს აგბ-ს საქმიანობასთან დაკავშირებული აქტივების მოპარვას, გაფლანგვას, ან არასათანადო გამოყენებას, განზრახ, ან უხეში დაუდევრობის შედეგად;

(vi) “ინტერესთა კონფლიქტი” ნიშნავს ნებისმიერ სიტუაციას, რომელშიც მხარეს გააჩნია გარკვეული ინტერესები, რამაც შესაძლოა არასათანადო ზემოქმედება მოახდინოს აღნიშნული მხარის მიერ ოფიციალურად განსაზღვრული მოვალეობების, თუ პასუხისმგებლობის, საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულებასა, თუ მოქმედ კანონებთან და რეგულაციებთან შესაბამისობაზე;

(vii) „ობსტრუქციული ქმედება“ ნიშნავს (ა) წინასწარი განზრახვით აგბ-ს გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების განადგურებას, გაყალბებას, შეცვლას ან მიჩქმალვას, ან აგბ-ს გამოძიებისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებას, გამოძიებისთვის ხელის შეშლის მიზნით; (ბ) რომელიმე მხარის მიმართ განხორციელებულ მუქარას, დევნას ან შანტაჟს, რაც მიზნად ისახავს აღნიშნული მხარის მიერ გამოძიებასთან დაკავშირებული საქმის დეტალების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების ან აგბ-ს გამოძიებასთან თანამშრომლობის ხელის შეშლას, ან (გ) განზრახ ქმედებას, რაც მიზნად ისახავს აგბ-ს მიერ აუდიტის განხორციელების, ან ინფორმაციის შემოწმების, თუ ინფორმაციაზე წვდომის კონტრაქტით განსაზღვრული უფლების ხელშეშლას; და

(viii) “არაკეთილსინდისიერი ქმედება" გულისხმობს აგბ-ს ანტიკორუფციული და სახელმძღვანელო პრინციპების (2015 წ. გამოცემა, დროთა განმავლობაში შესული ცვლილებების ასახვით) მიხედვით განსაზღვრულ ნებისმიერ საქმიანობას, რაც არღვევს

აგბ-ს ანტიკორუფციულ პოლიტიკას, ზემოთ წარმოდგენილი ((i)-(vii)) პუნქტების და შემდეგი საკითხების ჩათვლით: აგბ-ს სანქციების დარღვევა, შურისძიება განგაშის ამტეხი პირების, ან მოწმეების წინააღმდეგ და აგბ-ს ანტიკორუფციული პოლიტიკის დარღვევა სხვა მიზეზით, უმაღლეს ეთიკურ სტანდარტთან შეუსაბამობის ჩათვლით.

(ბ) უარყოფს წინადადებას, თუკი დაადგენს, რომ კონტრაქტის მინიჭებისთვის რეკომენდირებული ტენდერის მონაწილე, პირდაპირ ან აგენტის საშუალებით, შემჩნეულია კორუფციულ, თაღლითურ, იძულებით ან ობსტრუქციულ საქმიანობაში, ან ანტიკორუფციული პრინციპების სხვა სახით დარღვევაში, შესაბამისი კონტრაქტის მოპოვების მიზნით;

(გ) კონტრაქტისთვის გამოყოფილი დაფინანსების ნაწილს გამოაცხადებს ბათილად, თუ დაადგენს, რომ სესხის ამღების, ან აგბ-ს დაფინანსების მიმღების (ბენეფიციარის) წარმომადგენლები ჩართულები არიან კორუფციულ, თაღლითურ, იძულებით და ობსტრუქციულ საქმიანობაში, შესყიდვების, ან კონტრაქტის განხორციელების პროცესში, იმ შემთხვევაში, თუკი სესხის ამღები არ მიმართავს აგბ-სთვის დამაკამაყოფილებელ დროულ და აუცილებელ ქმედებებს, აღნიშნულ არამართლზომიერ მოქმედებათა აღსაკვეთად;

(დ) აგბ-ს ანტიკორუფციული პოლიტიკის და შესაბამისი პრინციპების და სახელმძღვანელოების შესაბამისად, აღნიშნული (არამართლზომიერი) მოქმედებების აღკვეთა კომპანიას, ან ინდივიდს დაეკისრება ნებისმიერ დროს, და კომპანია, ან ინდივიდი განუსაზღვრელი ვადით, ან კონკრეტული პერიოდის განმავლობაში გამოცხადდება არაუფლებამოსილად, რომ მიიღოს მონაწილეობა[1] აგბ-ს დაფინანსებით, ადმინისტრირებით, ან მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტებში, ის ასევე ვერ მიიღებს ფინანსურ თუ სხვა სახის სარგებელს აგბ-ს დაფინანსებით, ადმინისტრირებით, ან მხარდაჭერით განხორციელებული კონტრაქტიდან, თუკი ნებისმიერ დროს, დადგინდება, რომ კომპანია, ან ინდივიდი, პირდაპირ ან აგენტის საშუალებით, ჩართულია კორუფციულ, თაღლითურ, იძულებით ან

[1] იქნება ეს კონტრაქტორი, ქვეკონტრაქტორი, კონსულტანტი, მწარმოებელი, მომწოდებელი, მომსახურების მომწოდებელი, თუ სხვ. (დასახელებები განსხვავდება კონკრეტული სატენდერო დოკუმენტის მიხედვით).

ობსტრუქციულ საქმიანობაში, ან ანტიკორუფციული პრინციპების სხვა სახით დარღვევაში;

74.2 აგბ-სთან დაკავშირებული საქმიანობის მონაწილე, ან აღნიშნულ საქმიანობაში ჩართული ტენდერის ყველა მონაწილე, კონსულტანტი, კონტრაქტორი, მომწოდებელი და სხვა მესამე მხარე, ვალდებულია, რომ სრულყოფილად ითანამშომლოს და ჩართული იყოს ნებისმიერ სკრინინგსა, თუ გამოძიებაში, თუკი ამას მოითხოვს აგბ. აღნიშნული თანამშომლობა მოიცავს, მაგრამ არ არის შეზღუდული შემდეგით:

(ა) მზადყოფნა გასაუბრებისთვის და სრულყოფილი და სიმართლის ამსახველი პასუხების გაცემა ყველა დასმულ კითხვაზე;

(ბ) აგბ-ს უზრუნველყოფა ნებისმიერი, (ბანკის მიერ) მოთხოვნილი ინფორმაციით, რაც ექვემდებარება შესაბამისი მხარის კონტროლს და რაც მოიცავს, მაგრამ არ არის შეზღუდული დოკუმენტებით და სხვა ფიზიკური საგნებით;

(გ) აგბ-ს წერილობითი თხოვნა, რაც აძლევს სხვა უწყებებს უშუალოდ აგბ-სთვის აღნიშნული ინფორმაციის მიწოდების უფლებამოსილებას, თუ ხსენებული ინფორმაცია კონკრეტულად და მატერიალურად, პირდაპირ, თუ ირიბად, დაკავშირებულია აღნიშნულ უწყებებთან ან საკითხებთან, რც გამოძიების საგანს წარმოადგენს;

(დ) თანამშრომლობა ყველა დასაბუთებული მოთხოვნის საპასუხოდ, პერსონალური და/ან სამუშაო ტერიტორიის ფიზიკური შემოწმების, ან ძიების პროცესში, მათ შორის, აგბ-ს საქმიანობის შესრულებისას გამოყენებული ფაილების, ელექტრონული მონაცემთა ბაზის და პერსონალი საკუთრების მოძიების და/ან შემოწმებისას, აღნიშნული ასევე ეხება აგბ-ს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნლოგიების რესურსების, ან სისტემების (მათ შორის მობილური ტელეფონების, პერსონალური ელექტრონული მოწყობილობების და გარე მეხსიერების (დისკების) მსგავსი ელექტრონული მოწყობილობების) გამოყენებას;

(ე) თანამშრომლობა აგბ-ს მიერ მოთხოვნილ ნებისმიერ ტესტირებასთან დაკავშირებით, მათ შორის, შემდეგ საკითხებთან მიმართებაში: თითის ანაბეჭდის იდენტიფიკაცია, ხელწერის ანალიზი და ფიზიკური გამოკვლევა და ანალიზები; და

(ვ) აგბ-სთან განხილული ყველა ინფორმაციის კონფიდენციალურობის გაფრთხილება და დაცვა, აგბ-ს მოთხოვნის შესაბამისად.

74.3 ტენდერის ყველა მონაწილემ, კონსულტანტმა, კონტრაქტორმა და მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს აგბ-სთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩართული, ან აღნიშნულ საქმიანობაში მონაწილე ქვეკონსულტანტების, ქვეკონტრაქტორების და მესამე მხარეების მიერ, შესაბამისი ვალდებულების აღება და სრულყოფილი თანამშრომლობა და ჩართულობა ნებისმიერ სკრინინგსა, თუ გამოძიებაში, თუკი ამას მოითხოვს აგბ.

75. გადახდა კონტრაქტის შეწყვეტისას

75.1 იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტი წყდება კონტრაქტორის მიერ კონტრაქტის პირობების არსებითი დარღვევების გამო, პროექტის მენეჯერმა უნდა გამოსცეს სერტიფიკატი, რომელშიც შეფასებული იქნება შესრულებული სამუშაოსა და შეკვეთილი მასალების ღირებულება, სერტიფიკატის თარიღისათვის უკვე გადახდილი ავანსის თანხების და დაუსრულებელ სამუშაოთა პროცენტის გამოკლებით, როგორც მითითებულია „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“. ობიექტის დასრულების ვადის გადაცილების დამატებითი ჯარიმა ამ შემთხვევაში არ იქნება გამოყენებული. თუ საერთო თანხა, რომელიც, ამ შემთხვევაში ერგება დამკვეთს, აღემატება იმ თანხას, რომელიც ერგება კონტრაქტორს, სხვაობა ჩაითვლება კონტრაქტორის დავალიანებად დამკვეთის მიმართ.

75.2 იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტი წყდება დამკვეთის შეხედულებისამებრ ან დამკვეთის მხრიდან კონტრაქტის არსებითი ხასიათის დარღვევის გამო, პროექტის მენეჯერმა უნდა გასცეს სერტიფიკატი, რომელშიც შეფასებული იქნება შესრულებული სამუშაოების და შეკვეთილი მასალების ღირებულება, ასევე აღჭურვილობის გაყვანის, კონტრაქტორის მხოლოდ ამ ობიექტზე მომუშავე პერსონალის უკან დაბრუნების, კონტრაქტორის მიერ ობიექტის დაცვისა და შენახვის დასაბუთებული ხარჯები, სერტიფიკატის გაცემის

თარიღისათვის უკვე გადახდილი ავანსის თანხების გამოკლებით.

76. საკუთრება

76.1 თუ კონტრაქტი წყდება კონტრაქტორის მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, ობიექტის ტერიტორიაზე არსებული ყველა მასალა, დანადგარი, აღჭურვილობა, დროებითი ობიექტები და ობიექტი რჩება დამკვეთის საკუთრებაში.

77.კონტრაქტის შესრულების პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება

77.1 თუ კონტრაქტი ჩაიშლება საომარი მოქმედებების დაწყების ან სხვა ნებისმიერი მიზეზის გამო, რომელიც არ ექვემდებარება დამკვეთის ან კონტრაქტორის მხრიდან კონტროლს, პროექტის მენეჯერმა სერტიფიკატით უნდა დაამოწმოს, რომ კონტრაქტი ჩაიშალა. ამ სერტიფიკატის მიღების შემდეგ კონტრაქტორმა მაქსიმალურად შესაძლებელ მოკლე ვადაში უნდა უზრუნველყოს ობიექტის ტერიტორიის უსაფრთხოება და შეწყვიტოს სამუშაოები. კონტრაქტორს უნდა აუნაზღაურდეს სერტიფიკატის მიღებამდე შესრულებული სამუშაოების ღირებულება და ასევე სერთიფიკატის მიღების შემდეგ შესრულებული იმ სამუშაოების ღირებულება, რომელთა შესახებ წინასწარი შეთანხმება არსებობდა.

78. აზიის განვითარების ბანკის (აგბ) სესხის ან კრედიტის შეჩერება

78.1 იმ შეთხვევაში, თუ აზიის განვითარების ბანკი (აგბ) შეაჩერებს დამკვეთზე გაცემულ სესხს ან კრედიტს, რომლის სახსრებიდანაც ხორციელდებოდა კონტრაქტორისათვის გადახდების ნაწილი:

(ა) დამკვეთი ვალდებულია ზემოაღნიშნული შეჩერების შესახებ შეტყობინება გაუგზავნოს კონტრაქტორს, აგბ-ისგან სესხის ან კრედიტის შეჩერების შესახებ შეტყობინების მიღებიდან შვიდი (7) დღის განმავლობაში;

(ბ) თუ კონტრაქტორი ვერ მიიღებს მის კუთვნილ თანხებს 28 დღის განმავლობაში „კონტრაქტის ზოგადი პირობების" 50.1 ქვე-პარაგრაფის [გადახდები] შესაბამისად, მას შეუძლია დაუყოვნებლივ გასცეს 14 დღიანი შეტყობინება კონტრაქტის შეწყვეტის შესახებ.

79. უფლებამოსილება

79.1 კონტრაქტორს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილი ქვეყნის მოქალაქეობა, სატენდერო დოკუმენტის მე-5 ნაწილის (უფლებამოსილი ქვეყნები) შესაბამისად. კონტრაქტორი იმ შემთხვევაში ჩაითვლება ქვეყნის მოქალაქედ, თუ კონტრაქტორი დაფუძნებული, გაერთიანებად

ჩამოყალიბებული, ან დარეგისტრირებულია ამ ქვეყანაში და მოქმედებს აღნიშნული ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად. ეს კრიტერიუმი ასევე გამოყენებული იქნება შემოთავაზებული ქვე-კონტრაქტორების ან მომწოდებლების მოქალაქეობის დასადგენად, კონტრაქტის ნებისმიერ ნაწილთან და შესაბამის მომსახურებასთან მიმართებაში.

79.2 კონტრაქტის ფარგლებში მოსაწოდებელი მასალების, აღჭურვილობის და მომსახურების წყარო უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტის მე-5 ნაწილით (უფლებამოსილი ქვეყნები) განსაზღვრული უფლებამოსილი ქვეყნები და კონტრაქტით გათვალისწინებული ყველა ხარჯები უნდა შეიზღუდოს აღნიშნული მასალებით, აღჭურვილობით და მომსახურებით. დამკვეთის თხოვნის შემთხვევაში, კონტრაქტორს შეიძლება ეთხოვოს მასალების, აღჭურვილობის და მომსახურების წარმომავლობის დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენა.

79.3 კონტრაქტის ზოგადი პირობების 79.2 მუხლის მიზნებთან მიმართებაში, „წარმომავლობაში“ იგულისხმება ადგილი, სადაც ხდება მასალების და აღჭურვილობის მოპოვება, დამზადება, ან წარმოება და საიდანაც ხდება მომსახურების უზრუნველყოფა. მასალების და აღჭურვილობის წარმოება ხდება მაშინ, როდესაც წარმოება, დამუშავება, ან კომპონენტების არსებითად, ან ძირითადად გამართვა, განაპირობებს კომერციულად აღიარებულ პროდუქტს, რაც არსებითად განსხვავებულია მისი ძირითადი მახასიათებლებით, ან მიზნობრიობით, ან სამუშაო პროგრამით, მისი კომპონენტებისაგან.